186
1969

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1969 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1969 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

92. საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ

93. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 მაისის № 381 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

94. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 ივლისის № 466 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

95. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების წესის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

№

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

96. საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ფაქტების შესახებ

97. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამტკიცების შესახებ

98. რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

99. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

100. სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებსა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში პენსიონერთა,ინვალიდთა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომის გამოყენების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ

101. იმ სოფელ ადგილების მოსახლეობის აღრიცხვის წესის შესახებ, რომლებიც ადმინისტრაციულად ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოებს

102. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 მაისის № 323 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

103. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 მაისის № 368 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

104. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

105. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 და 1968 წლის 9 დეკემბრის № 959 დადგენილებებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

106. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

107. საკოლმეურნეო ბაზრებში ფასების მოწესრიგების შესახებ

108. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აგვისტოს № 647 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

109. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

110. რძის სახელმწიფო სტანდარტის და დიფერენცირებული შესასყიდი ფასების შემოღების ვადების შესახებ

111. საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით.

112. ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების ღონისძიებათა შესახებ

113. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 აგვისტოს № 410 დადგენილების ძე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

114. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის საქმინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

92 საქართველოს სსრ უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო 1969 წლის 20 აგვისტოს № 681 დადგენილებაში აღნიშნავენ, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღეს მთელი რიგი ზომები, რათა უკეთ მოემზადებინათ და შეერჩიათ უმაღლესი სასწავლებლებისათვის ცოდნის ყველაზე მაღალი დონის მქონე ახალგაზრდები.

ამასთანავე ამ მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით საღამოს (ცვლიან) სკოლებში. საწარმოები, ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი სრულად არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ შესაძლებლობებს, რომ წარმოების მოწინავენი სასწავლებლად მიავლინონ უმაღლეს სასწავლებლებში. მთელ რიგ დიდ ქალაქებში უმაღლეს სასწავლებელთა იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლობენ, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მუშა და სოფლის ახალგაზრდობა.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონე და შეექმნას მას საჭირო პირობები უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ.

ზემოაღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ს:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 აგვისტოს № 681 დადგენილება „უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ“ გაეგზავნოს საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს ცნობად და სახელმძღვანელოდ.

2. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ 1969—1970 სასწავლო წლისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და საქართველოს პოლიტექ-

ნიკურ ინსტიტუტთან შეიქმნას მოსამზადებელი განყოფილებანი 300 კაცის მიღები კონტინგენტით.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ წარმოადგინოს 1969 წლის 15 ოქტომბრამდე კონკრეტული წინადადებანი 1969-1970 სასწავლო წლისათვის მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ, ამასთან გაითვალისწინოს მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის ადგილი, ახალგაზრდების შერჩევა და ჩარიცხვის წესი, განყოფილებათა უზრუნველყოფა პედაგოგიური პერსონალით, სასწავლო პროცესის მატერიალური ბაზით, საერთო საცხოვრებლებით, აგრეთვე სხვა საორგანიზაციო ღონისძიებათა შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს დაუწესონ მკაცრი კონტროლი იმას, რომ სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა შეარჩიონ და მოსამზადებელ განყოფილებებზე მიავლინონ მოწინავე მუშები და კოლმეურნეები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს კპ საოლქო კომიტეტების, საქალაქო კომიტეტების, რაიკომების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის შემდგომ ამაღლებას, მის უფრო ფართოდ ჩაბმას უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 7 ოქტომბერი, № 590.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 681

1969 წლის 20 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სახალხო განათლების ორგანოებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად მიიღეს მთელი რიგი ზომები, რათა უკეთ მოემზადებინათ და შეერჩიათ უმაღლესი სასწავლებლებისათვის ცოდნის ყველაზე მაღალი დონის მქონე ახალგაზრდები.

ამასთანავე ამ მუშაობაში არის არსებითი ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ ნაკლებ მზრუნველობას იჩენენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებით საღამოს (ცვლიან) სკოლებში. საწარმოები, ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობანი და კოლმეურნეობანი სრულად არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ შესაძლებლობებს, რომ წარმოების მოწინავენი სასწავლებლად მიავლინონ უმაღლეს სასწავლებლებში. მთელ რიგ დიდ ქალაქებში უმაღლეს სასწავლებელთა იმ სტუდენტებს შორის, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლობენ, ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის მუშა და სოფლის ახალგაზრდობა.

იმ მიზნით, რომ ამაღლდეს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონე და შეექმნას მას საჭირო პირობები უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ 1969 წლიდან დაწყებული, შეიქმნას უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელი განყოფილებანი.

დადგინდეს, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან მოსამზადებელ განყოფილებებს ქმნიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებანი, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით.

2. მოსამზადებელ განყოფილებათა შექმნისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს:

ა) სასწავლო მეცადინეობის მოწყობა დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმებით;

ბ) განყოფილებათა შექმნა, თუ ეყოლებათ სულ ცოტა 100 მსმენელი, რომლებიც წარმოებისაგან მოწყვეტით და მოუწყვეტლივ სწავლობენ;

გ) წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების ვადა 8 თვე, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ — 10 თვე;

დ) მოსამზადებელ განყოფილებათა სასწავლო ჯგუფების შექმნა მსხვილი სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ბაზაზე. აღნიშნული სასწავლო ჯგუფები იქმნება დარგობრივ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით.

3. მოსამზადებელ განყოფილებებზე მიიღებიან დამთავრებული საშუალო განათლების მქონე პირნი — მოწინავე მუშები, კოლმეურნეები და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან დემობილიზებულნი. ახალგაზრდა მუშებსა და კოლმეურნეებს, რომლებიც მოსამზადებელ განყოფილებებზე შედიან, უნდა ჰქონდეთ სულ ცოტა ერთი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. ახალგაზრდებს შეარჩევენ და ამ განყოფილებებზე გზავნიან უშუალოდ სამრეწველო საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები; ჯარის ნაწილების სარდლობა პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა რეკომენდაციით.

ის პირნი, რომლებიც დაამთავრებენ მოსამზადებელ განყოფილებას და წარმატებით ჩააბარებენ გამოსაშვებ გამოცდებს, უმაღლესი სასწავლებლის I კურსზე ჩაირიცხებიან მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ დაადგინოს აღნიშნულ პირთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის წესი.

4. სამინისტროებმა და უწყებებმა, უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამრეწველო საწარმოებმა, მშენებლობებმა, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა უზრუნველყონ მოსამზადებელი განყოფილებანი სამეცადინო სადგომებით, საერთო საცხოვრებლებით მსმენელთათვის, საჭირო სასწავლო მოწყობილობითა და ინვენტარით.

5. მოსამზადებელ განყოფილებათა მსმენელებს, რომლებიც ჩაირიცხებიან სასწავლებლად წარმოებისაგან მოწყვეტით, მიეცემათ სტიპენდია იმ უმაღლეს სასწავლებელთა პირველკურსელი სტუდენტებისათვის დადგენილი ოდენობით, რომლებთანაც შექმნილია მოსამზადებელი განყოფილებანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 ივლისის № 774 დადგენილების შესაბამისად.

ნება დაერთოს სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, საბჭოთა მეურნეობებს და რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს მიავლინონ მუშები და კოლმეურნეები უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებებზე წარმოებისაგან მოწყვეტით სასწავლებლად იმ წესითა და პირობებით, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილებით.

6. ნება დაერთოს სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებს, საბჭოთა მეურნეობებს და რჩევა მიეცეს კოლმეურნეობებს მისცენ დამატებითი შვებულება 15 კალენდარული დღით, გამოსაშვები გამოცდების ჩასაბარებლად მოსამზადებელ განყოფილებათა მსმენელებს, რომლებიც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობენ, იმ წესითა და პირობებით, რაც დადგენილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 720 დადგენილების მე-6 პუნქტით.

7. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მონაწილეობით ყოველწლიურად დაადგინოს დღის, საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფორმების მიხედვით მოსამზადებელ განყოფილებებზე მიღების გეგმა უმაღლეს სასწავლებლებში დღის სწავლებაზე მიღების გეგმის 20 პროცენტამდე ოდენობით.

ნებადართულ იქნეს, რომ 1969/70 სასწავლო წელს მოსამზადებელ განყოფილებებზე მიღებულ იქნეს 20 ათასამდე კაცი.

8. დადგინდეს, რომ მოსამზადებელ განყოფილებებზე პედაგოგიური მუშაობისათვის მოწვეული იქნებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლები, აგრეთვე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ყველაზე კვალიფიციური მასწავლებლები.

მოსამზადებელ განყოფილებათა მასწავლებლების შემადგენლობის და სასწავლო-დამხმარე პერსონალის მუშაკთა რაოდენობა განისაზღვროს იმ უმაღლესი სასწავლებლებისათვის დადგენილი ნორმებითა და წესით, რომლებთანაც იქმნება ეს განყოფილებები.

მოსამზადებელ განყოფილებათა მასწავლებლების შრომის ანაზღაურება წარმოებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 ივნისის № 660 დადგენილების შესაბამისად.

დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან ერთად დაადგინოს მოსამზადებელ განყოფილებათა გამგეების შრომის ანაზღაურების წესი.

მოსამზადებელ განყოფილებებზე პედაგოგიური მუშაობისათვის მოწვეულ მასწავლებლებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში პედაგოგიური მუშაობის დრო ეთვლებათ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სტაჟში თანამდებობრივი განაკვეთების დადგენისას.

9. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაუწიოს სასწავლო-მეთოდური ხელმძღვანელობა მოსამზადებელ განყოფილებათა საქმიანობას უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა მომზადებისათვის და განახორციელოს კონტროლი ამ განყოფილებათა მუშაობისადმი.

10. სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს და სსრ კავშირის განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, საკავშირო პროფსაბჭოსთან და სრულიად

საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით დაამტკიცოს 2 თვის ვადაში დებულება მოსამზადებელ განყოფილებათა შესახებ.

11. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, უზრუნველყონ, რომ უმაღლეს სასწავლებლებში უფრო ფართოდ იქნეს ჩაბმული კარგად მომზადებული ახალგაზრდები — მუშები და გლეხები.

სსრ კავშირის განათლების სამინისტრომ და სახალხო განათლების ორგანოებმა მიიღონ ზომები სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი სრულყოფისათვის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოს (ცვლიანი) სკოლების მუშაობის გაუმჯობესებას.

12. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო კომიტეტებს, საოლქო კომიტეტებს და საქალაქო კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ უმაღლეს სასწავლებლებს, სამრეწველო საწარმოებს, მშენებლობებს, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებს, საბჭოთა შეურნეობებს და კოლმეურნეობებს მოსამზადებელ განყოფილებათა მოწყობაში, ამ განყოფილებათა მსმენელებისათვის სწავლის საჭირო პირობების შექმნაში, საბინაო-საყოფაცხოვრებო მოწყობაში, სამედიცინო და კულტურულ მომსახურებაში. დაუწესონ სისტემატური კონტროლი მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების შერჩევასა და მოსამზადებელ განყოფილებებზე გაგზავნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოების, პარტიის სამხარეო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების და საქალაქო კომიტეტების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ყურადღებას მიაპყრობენ იმას, რომ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობას მუშა და სოფლის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების დონის შემდგომი ამაღლებისათვის, უმაღლეს სასწავლებლებში მისი უფრო ფართოდ ჩაბმისათვის.

სკკპ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის
მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

93 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 მაისის № 381 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გეუქმების შესახებ

„სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების წესის შეცვლასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 მაისის № 381 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. „ფულის მიმოქცევის მდგომარეობისათვის, საქონელბრუნვის საჭირო სასაქონლო ფონდებით უზრუნველყოფისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის გადიდებისა და ხელფასის ფონდების გამოყენებისადმი კონტროლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 3 მარტის № 159 დადგენილების მე-8 პუნქტი.

2. „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 აგვისტოს № 805 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების გაუქმების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 სექტემბრის № 653 დადგენილების II ნაწილის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 23 მაისის № 381 დადგენილებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 21 აგვისტოს № 1789 დადგენილებაში „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის როლისა და ამოცანების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 სექტემბრის № 883 დადგენილებით, შეტანილია შემდეგი ცვლილებანი:

ა) მე-19 პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„19. უფლება მიენიჭოს სახელმწიფო ბანკს მისცეს გამსაღებელ ორგანიზაციებს სესხი 6 თვემდე ვადით მატერიალურ ფასეულობათა შესასყიდად იმ საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან, რომელთაც გააჩნიათ ამ ფასეულობათა ზედმეტი და უსარგებლო მარაგი;“

ბ) ძალადაკარგულად ითვლება პუნქტები 3-10, 12, 29, 43-ე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის თავმჯდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარის მოადგილეებისათვის უფლებათა მინიჭების შესახებ, აგრეთვე პუნქტები 36 და 37 (სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 თებერვლის № 282 დადგენილების რედაქციით), იმ საწარმოების მიმართ, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მუავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 7 ოქტომბერი, № 591.

94 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 ივლისის № 466 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს პუნქტი 4 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 31 ივლისის № 466 დადგენილებისა „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან საზოგადოებრივ მეცნიერებათა სამეცნიერო ინფორმაციის სექტორის შექმნის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მუავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 21 ოქტომბერი, № 613.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

95 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშების მინიჭების წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელ• დროშების მინიჭების წესის შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

დაეკისროთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, პროფესიული კავშირების შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად, საქართველოს სსრ საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, აგრეთვე გამარჯვებულთათვის იმ გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭება, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ და რომელთა მინიჭება ადრე ხდებოდა მათ მიერ.

გადაწყვეტილებებს გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭების შესახებ მიიღებენ სამინისტროები, უწყებანი და პროფესიული კავშირების რესპუბლიკური კომიტეტები.

რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს გარდამავალ წითელ დროშებს გადასცემენ მინისტრები, უწყებათა ხელმძღვანელები, პროფ• კავშირების რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების კრებებზე, საზეიმო ვითარებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. ჟიჟნაძე.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 25 სექტემბერი. № 556.

№ 5 ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

96 საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მიწათსარგებლობის წესების დარღვევის ფაქტების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში მთელ რიგ შემთხვევებში საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის სახით ხდება მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვა და ამ ნაკვეთებზე თვითნებურად საცხოვრებელი სახლების აშენება. ხშირია შემთხვევები, როცა აღნიშნულ რაიონებში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებს თვითნებურად იკავებენ ისეთი პირები (მეტწილად ქ. თბილისში მცხოვრებნი), რომელთაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ამ მეურნეობებთან.

მცხეთის რაიონის 9 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემოწმებით გამოვლინებულია 23 ასეთი დარღვევა, დუშეთის რაიონის 11 სასოფლო და სადაბო საბჭოში — 12, გარდაბნის რაიონის 7 საბჭოთა მეურნეობაში — 48, ხოლო თეთრი წყაროს რაიონის 5 კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში — 12 შემთხვევა.

მაგალითად: მცხეთის რაიონის სოფელ არაშენდის კოლმეურნეობის წევრმა თ. თინიკაშვილმა საცხოვრებელი სახლი მიჰყიდა ქ. თბილისის მუდმივ მცხოვრებ ა. ქანდაურაშვილს, რომელმაც თვითნებურად დაიკავა 0,19 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

თეთრი წყაროს რაიონის სოფელ პანტიანის მცხოვრებ კ. ეგეთაშვილისაგან საცხოვრებელი სახლი იყიდეს ქ. თბილისის მცხოვრებლებმა გ. ნიკოლეიშვილმა და ა. ნარჩომაშვილმა და დაიკავეს 0,29 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომლითაც ეგეთაშვილი სარგებლობდა, ქ. თბილისის მცხოვრებლებმა დ. შარაშენიძემ და გ. ყანჩაველმა ამავე სოფელში ს. მელიქიშვილისაგან იყიდეს საცხოვრებელი სახლი და დაიკავეს 0,32 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, რომლითაც იგი სარგებლობდა, ხოლო ორბეთის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე შ. ტატიშვილი) აღნიშნული პირები შეიტანა კომლთა სიაში.

გარდაბნის რაიონის ტაბახმელის სახელმწიფო ბიოკომბინატის დამხმარე მეურნეობის დირექტორის ი. ქოროღლიშვილის თანხმობით საცხოვრებელი სახლების ყიდვის შემდეგ ამ სახლების ყოფილი მეპატრონეების საკარმიდამოებიდან არასწორად გაუფორმდათ 0,05-0,15 ჰექტარი მიწის ნაკვეთები ქ. თბილისის მცხოვრებლებს ი. გოგიტიძეს, კ. ჯავრიშვილს, გ. მანაგაძეს, მ. ნანიტაშვილსა და სხვებს.

თბილისელმა მცხოვრებლებმა ნ. გოლიაძემ და ნ. კოპალეიშვილმა სოფელ წოდორეთში შეიძინეს საცხოვრებლად უვარგისი ქოხები, ამოეწერნენ თბილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიდან, ხოლო ლისის სასოფლო საბჭოს აღმასკომმა (თავმჯდომარე წიკლაური) ისინი ჩაწერა სოფლის საკომლო წიგნში. დიღმის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ აღნიშნულ პირებს გაუფორმა 600-800 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთები, რომლებითაც სარგებლობდნენ გაყიდული სახლების ყოფილი მესაკუთრეები, ხოლო გარდაბნის რაიაღმასკომის ნებართვით მათ ახალი სახლები (აგარაკები) ააშენეს.

ქ. თბილისის მცხოვრებმა ა. ჩაჩავამ დუშეთის რაიონის სოფ. ჩონთაში მოქალაქე ზვიადაურისაგან 1967 წელს იყიდა საცხოვრებელი სახლი და დაიკავა ზვიადაურის საკარმიდამოდან 0,31 ჰექტარი მიწის ნაკვეთი.

ანალოგიური მდგომარეობაა მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის, გალავნის, ნიჩბისის, საგურამოს, გარდაბნის რაიონის სოფელ დიღმის, ლისის, გლდანის, მარტყოფისა და სხვა სასოფლო საბჭოებში.

გარდაბნის რაიონის სოფელ გლდანში მცხოვრებ მოქ. ა. კუჭაიძემ თავისი საცხოვრებელი სახლის ნახევარი და 0,15 ჰექტარი მიწა საკარმიდამო ნაკვეთიდან აჩუქა თავის ქალიშვილს, ქ. თბილისის მცხოვრებ ნ. კუჭაიძეს, ხოლო ავჭალის მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექციამ მას გაუფორმა ეს მიწის ნაკვეთი.

თბილისის მცხოვრებმა ი. მახარაძემ ამავე სოფელში მემკვიდრეობით მიიღო გარდაცვლილი პაპის გ. კონიაშვილის საცხოვრებელი სახლი და დაიკავა 0,20 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, ხოლო აღნიშნული მეურნეობის დირექციამ მას არ ჩამოართვა ეს ნაკვეთი.

გარდაბნის რაიონის დიღმის, მარტყოფისა და ზოგიერთ სხვა საბჭოთა მეურნეობებს საკარმიდამო ნაკვეთები მიცემული აქვთ ისეთი პირებისათვის, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ამ მეურნეობებთან.

მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ზუბიაშვილმა უხეშად დაარღვია მიწათსარგებლობის კანონი: საკარმიდამო ფონდში გამოყოფილი 1,5 ჰექტარიდან მიწის ნაკვეთები მისცა 5 ისეთ პირს, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მუშაობენ ამ მეურნეობებში, არიან ქ. თბილისის მუდმივი მცხოვრებლები და მათ საკარმიდამო ნაკვეთები არ ეკუთვნით. მანვე უკანონოდ გამოუყო მეურნეობის 5 მუშაკს დამატებითი ნაკვეთები. უფრო მეტიც, თვით მეურნეობის დირექტორი ზუბიაშვილი ამოეწერა ქ. თბილისიდან (ცოლშვილი ჩაწერილია ქ. თბილისში), უკანონოდ მიიღო 0,15 ჰექტარი საკარმიდამო ნაკვეთი და თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის დირექტორთან ქ. თბილისში მცხოვრებ ა. გოგიშვილთან ერთად ააშენა სახლი (აგარაკი), ამასთან მათ კიდევ მიიტაცეს 560 კვ. მეტრი მიწის ფართობი.

დუშეთის რაიონის ჭოპორტის სასოფლო საბჭომ უკანონოდ გამოუყო თბილისის მცხოვრებ მოქ. გვაზავას სატყეო მეურნეობის მიწებიდან 0,15 ჰექტარი ნაკვეთი, სადაც მან ააშენა აგარაკი.

მცხეთისა და დუშეთის რაიონების ქალაქებსა და დაბებში სახლების ყიდვა-გაყიდვისას უხეშად ირღვევა ქალაქებისა და დაბებისათვის დაწესებული მიწის ნაკვეთების ნორმები, ხოლო აღნიშნული საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომები სათანადო კონტროლს არ უწევენ იმას, რომ საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვის დროს ირღვევა მიწათსარგებლობისა და ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცხეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა თუმცა მიიღო გადაწყვეტილება ჩამოერთმია ქ. მცხეთის მცხოვრებლებისათვის ნორმაზე მეტი მიწები, მაგრამ პრაქტიკულად ეს გადაწყვეტილება განუხორციელებელი დარჩა.

დუშეთის საქალაქო საბჭოს აღმასკომში სათანადო დონეზე არ არის დაყენებული საცხოვრებელი სახლების ტექაღრიცხვა და ზოგჯერ სამოსახლო ნაკვეთებს განმეორებით აძლევენ ისეთ პირებს, რომლებიც სახლებს აშენებენ გაყიდვის მიზნით. მაგალითად, მუჩიაშვილმა, რომელსაც ქ. დუშეთში აქვს საცხოვრებელი სახლი, იქვე ააშენა მეორე სახლი, რომელიც გაყიდა, ახლა კი აშენებს მესამე სახლს.

მიწათსარგებლობისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის წესების დაცვის საქმეში განსაკუთრებული დიდი დარღვევებია დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურში (სადაბო საბჭოს თავმჯდომარე გ. ქავთარაძე).

მაგალითად: სოფ. მაქართის კოლმეურნეობის წევრმა ნ. წიკლაურმა დაბა ფასანაურში იყიდა ერთოთახიანი სახლი, დაანგრია იგი და ააშენა სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი უნებართვოდ და ტექნიკური დოკუმენტაციის უქონლად.

ამავე დაბაში ვ. ნადიბაიძეს უკავია ბინა კომუნალურ სახლში და ამავე დროს აქვს საკუთარი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნახევარი გაყიდა 1966 წელს. მან თვითნებურად დაიკავა 0,12 ჰექტარი მიწა და ახლა აშენებს ორსართულიან სახლს. უკანონოდ დაიკავეს მიწები და აშენებენ სახლებს აგრეთვე გ. წიკლაური, ი. მათიაშვილი, კ. ბიბილაშვილი, ი. ჩოხელი, გ. აფციაური, შ. ბექაური და სხვები.

სახლების ყიდვა-გაყიდვის სახით მიწების მითვისების ფაქტები არის საქართველოს სხვა რაიონებშიც და, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე და სხვა საკურორტო ადგილებში.

აღინიშნოს, რომ შემოწმებული რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა გამოვლინებული ზოგიერთი დარღვევა განიხილეს თავიანთ სხდომებზე და დასახეს სათანადო ღონისძიებანი დარღვევების სალიკვიდაციოდ, ხოლო დუშეთის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1968 წლის 17 ივნისს აღმასკომის სხდომაზე განიხილა ჭოპორტის, ჟინვალისა და ჭონქაძის სასოფლო საბჭოებში მიწათსარგებლობის კანონის დაცვის მდგომარეობის საკითხი და მიიღო არასწორი გადაწყვეტილება: 52 მოქალაქეს დაუტოვა მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ უკანონოდ აქვთ დაკავებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, საბჭოთა მეურნეობების ტრესტები, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების დაცვას, არ ამოწმებენ ამ წესების დაცვას და არ იღებენ გადამჭრელ ზომებს არსებული დარღვევის აღსაკვეთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს და სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს შეამოწმონ სახლების ყიდვა-გაყიდვის დროს მიწათსარგებლობის წესების დაცვის მდგომარეობა, განიხილონ შემოწმების შედეგები და მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებულ დარღვევათა სალიკვიდაციოდ, ამასთანავე:

ა) დაუყოვნებლივ ჩამოართვან საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვისას უკანონოდ დაკავებული ან სხვა რაიმე სახით მითვისებული მიწები და გადასცენ კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს.

მასალები იმ პირების შესახებ, ვისაც ბრალი მიუძღვის სახლების უკანონოდ მშენებლობასა და საზოგადოებრივი მიწების მიტაცებაში, გადასცენ საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად;

ბ) გააუქმონ სახლების ყიდვა-გაყიდვის იმ ხელშეკრულებების რეგისტრაცია, რომლებიც დადებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით, ხოლო როცა ასეთი ხელშეკრულებები დამოწმებულია სანოტარო წესით, დააყენონ საკითხი სახალხო სასამართლოში მისი ბათილად ცნობის შესახებ. სისტემატურად შეამოწმონ, თუ როგორ ხორციელდება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის კანონი, შემოწმების შედეგები განიხილონ აღმასკომის სხდომებზე და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

გ) უახლოეს დროში განიხილონ იმ თანამდებობის პირთა საკითხი, ვინც არღვევს სახლების ყიდვა-გაყიდვის დადგენილ წესებს, უკანონოდ აძლევს მიწის ნაკვეთებს, არ იღებს გადამჭრელ ზომებს მიწათსარგებლობის წესების დარღვევის აღსაკვეთად, და მიიღონ მათ მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები;

დ) სრულ წესრიგში მოიყვანონ რაიონული დაქვემდებარების ქალაქების, დაბებისა და საკურორტო რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებში საცხოვრებელი სახლების ტექნიკური აღრიცხვა. მკაცრი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ სწორად იქნეს გაფორმებული საცხოვრებელი სახლების ყიდვა-გაყიდვა და ამის შესაბამისად სამოსახლო ნაკვეთების გამოყოფა;

ე) საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 4 ნოემბრის № 776 დადგენილების შესაბამისად ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების და კოლმეურნეობათა გამგეობების წევრთა მონაწილეობით განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებანი, რათა ჩამოერთვას საკარმიდამო ნაკვეთები იმ პირებს, რომლებსაც გაწყვეტილი აქვთ კავშირი სოფელთან, და გადაეცეს ეს მიწები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საზოგადოებრივი მიწის ფონდში;

ვ) ზუსტად დაიცვან და განუხრელად განახორციელონ მიწათსარგებლობის არსებული კანონმდებლობა და სახლების ყიდვა-გაყიდვის დადგენილი წესი, აღკვეთონ სახლების ყიდვა-გაყიდვის სახით მიწის ნაკვეთების თვითნებურად დაკავება და სახლების უნებართვოდ მშენებლობა.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას:

ა) 15 დღის ვადაში განიხილოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 19 დეკემბრის № 748 დადგენილებით დამტკიცებული „მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანიტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 38 მუხლში დამატების შეტანის შესახებ;

ბ) ორი თვის ვადაში შეისწავლოს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 105 მუხლის უკანასკნელი აბზაცის გამოყენების პრაქტიკა იმ ნაწილში, რომელიც ეხება სოფელ ადგილას მდებარე სახლებს, და თავისი წინადადებანი წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს გააძლიერონ ყურადღება ადგილებზე მიწათსარგებლობის წესების დაცვისადმი. სისტემატურად შეამოწმონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ეს საკითხი და მიიღონ გადამწყვეტი ზომები გამოვლინებულ დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრს ამხ. მ. ღვინჯილიას დამატებით შეამოწმოს:

ა) მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეველობის (დირექტორი რ. ზუბიაშვილი) და ავჭალის მერძეველობის (დირექტორი გ. აბუაშვილი) საბჭოთა მეურნეობებში მიწათსარგებლობის მდგომარეობა, შემოწმების შედეგები განიხილოს კოლეგიის სხდომაზე და მკაცრად დასაჯოს მიწათსარგებლობის კანონის დარღვევაში დამნაშავე პირები;

ბ) ქ. თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის დირექტორის ა. გოგიშვილის მიერ მარტყოფის საბჭოთა მეურნეობაში მიწის ნაკვეთის თვითნებურად დაკავების და ამ მეურნეობის დირექტორ ზუბიაშვილთან ერთად საცხოვრებელი სახლის აშენების საკითხი და შემოწმების შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

5. საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. პ. ბერძენიშვილმა უზრუნველყოს სახლების ყიდვა-გაყიდვის დროს მიწათსარგებლობის კანონის დარღვევისა და უნებართვო ბინათმშენებლობის შესახებ გადაცემული მასალების განხილვა კანონით დაწესებულ ვადებში.

6. მიღებულ იქნეს ცნობად რაიაღმასკომების თავმჯდომარეების განცხადებები:

ამხ. დ. დათუაშვილისა (გარდაბნის) — იმის შესახებ, რომ საქართველოს კპ გარდაბნის რაიკომის ბიურომ განიხილა საკითხი მიწების უკანონოდ გამოყოფის შესახებ და პარტიული სასჯელი დაადო ტაბახმელის ბიოკომბინატის დირექტორს ამხ. ვათეიშვილს, ამ კომბინატის დამხმარე მეურნეობის დირექტორს ამხ. ქოროღლიშვილს და ტაბახმელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. იაკობიძეს, ამასთან ერთად, უკანონოდ დაკავებული მიწები ჩამორთმეულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს, ხოლო მასალები ლისის სასოფლო საბჭოში არსებული დარღვევების შესახებ გადაეცა საგამომძიებლო ორგანოებს.

ამხ. ე. ელბაქიძისა (თეთრი წყაროს) — იმის შესახებ, რომ მიწათსარგებლობის წესების დარღვევისათვის რაიაღმასკომმა დაადო სასჯელი ორბეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ტატიშვილს და საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ამხ. თაყნიაშვილს, ხოლო უკანონოდ დაკავებული მიწის ნაკვეთები ჩამორთმეულია და გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს.

ამხ. ლაშხისა (მცხეთის) — იმის შესახებ, რომ სახლების ყიდვა-გაყიდვის დროს მიწათსარგებლობის კანონის დარღვევის ფაქტები განიხილეს საქართველოს კპ მცხეთის რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა და ამ დარღვევების დაშვებისათვის დაედოთ პარტიული სასჯელი მუხრანის, გალავნის, საგურამოსა და არაშენდის კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს ამხ. ამხ. ა. გ. ბედიანაშვილს, ი. გ. ნაგლაძეს, ქ. ს. უნდილაშვილს, და თ. ა. ხუცურაულს, ამასთან ხუცურაული მოიხსნა სამუშაოდან და მიცემულია სამართალში, ხოლო საგურამოს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ზ. სოხაშვილს რაიაღმასკომმა გამოუცხადა საყვედური.

ამხ. ზოტიკაშვილისა (დუშეთის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე) — იმის შესახებ, რომ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების უკანონოდ გაცემისათვის დასჯილი არიან არაგვისპირის და ჟინვალის კოლმეურნეობების ყოფილი თავმჯდომარეები ა. ბალახაშვილი და თ. ობგაიძე, ხოლო ჭოპორტის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარე მ. ბადაგაძე მიცემულია სამართალში.

7. გაფრთხილებულ იქნენ გარდაბნის, თეთრი წყაროს, მცხეთისა და დუშეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები ამხ. ამხ. დ. დათუაშვილი, ე. ელბაქიძე, ბ. ლაშხი და შ. მწითური, რომ თუ ისინი არ უზრუნველყოფენ მიწათსარგებლობის დადგენილი წესების გარეულად დაცვას, მოხსნილი იქნებიან დაკავებული თანამდებობებიდან.

8. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ამ დადგენილების შესრულების ანგარიში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 1 თებერვლისათვის.

7168.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. ბ. ბ. ... საქართველოს სსრ. სსრ. ... ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 8 სექტემბერი, № 531.

97 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება გამოსახლება სასამართლოს წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„104. კურორტ ბიჭვინთის პანსიონატთა გაერთიანების საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 12 სექტემბერი, № 538.

98 რესპუბლიკის ზოგიერთი სკოლისათვის სახელწოდების მიკუთვნების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს ზესტაფონის, ვანის, წითელწყაროს რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობა და მიეკუთვნოთ:

ზესტაფონის რაიონის სოფ. ზედა საქარის საშუალო სკოლას — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ილია ვლადიმერის ძე აბულაძის სახელი;

ვანის რაიონის სოფ. ტობანიერის საშუალო სკოლას — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კორნელ კეკელიძის სახელი;

წითელწყაროს რაიონის სოფ. მირზაანის რვაწლიან სკოლას — მხატვარ ნიკო ფიროსმანაშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 17 სექტემბერი, № 545.

99 საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში ავტომობილების ტექნიკური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში საავტომობილო პარკის ტექნიკური მომსახურების დონის ამაღლების, მისი გამოყენების გაუმჯობესების და საავტომობილო პარკის შენახვის ხარჯების შემცირების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 675 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოეწყოს სოფლის მეურნეობის ავტომობილების ცენტრალიზებული ტექნიკური მომსახურება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სისტემაში ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების ფართო ქსელის შექმნის გზით.

2. დაწესდეს, რომ ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურები, რომლებიც შეიქმნება „საქსოფლტექნიკის" სისტემაში, მომსახურებას გაუწევენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სასოფლო ადგილებში განლაგებულ სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს უწყებათა ავტომობილებისა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" გაითვალისწინონ:

ა) სახალხო მეურნეობის განვითარების 1970 წლის გეგმებში ავტომობილების ტექნიკური მომსახურების 5 სადგურის მშენებლობა „საქსოფლტექნიკის" სისტემაში;

ბ) სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმის პროექტში — ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების ქსელის განვითარების დაჩქარება „საქსოფლტექნიკის" სისტემაში და ამ სადგურების აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიური და დიაგნოსტიკური მოწყობილობებით;

გ) საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საიჯარო სამუშაოების 1970-1975 წლების გეგმაში — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" სისტემის ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების მშენებლობა.

4. მიღებულ იქნეს ცნობად „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის განცხადება იმის შესახებ, რომ 1971—1975 წლებში ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურების მშენებლობის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, უკვე წარედგინა საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას" და მოწონებულია მის მიერ.

5. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 14 აგვისტოს № 675 დადგენილებით:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაევალა სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტს, საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკას“, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხელსაწყომშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს, სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოაწყონ დიაგნოსტიკის ხელსაწყოების და მოწყობილობის წარმოება ავტომობილების ტექნიკური მომსახურების სადგურებისათვის, ამ მიზნისათვის გამოიყენონ შეძენილ იმპორტულ მოწყობილობათა საუკეთესო ნიმუშები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 18 სექტემბერი, № 547

100 სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებსა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში პენსიონერთა, ინვალიდთა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ პირთა შრომის გამოყენების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ

იმ მიზნით, რომ შეიქმნას პირობები სახალხო მოხმარების საქონლის დამამზადებელ საწარმოებსა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში მოხუცებულობით პენსიონერების, ინვალიდებისა და საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული შრომისუნარიანი მოსახლეობის უფრო ფართოდ ჩაბმისათვის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეიქმნას და გაფართოვდეს სპეციალიზებული საწარმოები, საამქროები და უბნები, სადაც გამოყენებული იქნება მოხუცებულობით პენსიონერებისა და ინვალიდების შრომა.

ორი თვის ვადაში მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ და წარმოადგინონ წინადადებანი იმ საკითხებზე, რომლებიც მოითხოვენ რესპუბლიკის მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღებას.

2. რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიო-

ნების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებს და უწყებებს, რომლებიც აწარმოებენ სახალხო მოხმარების საქონელს და მოსახლეობას უწევენ საყოფაცხოვრებო მომსახურებას, სამეურნეო ანგარიშზე მოაწყონ საწარმოო გაერთიანებანი (ფირმები) შინახელოსანთა შრომის გამოსაყენებლად.

3. რჩევა მიეცეთ საწარმოების დირექტორებსა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს:

უფრო ფართოდ აწარმოონ მოხუცებულობით პენსიონერების, ინვალიდების, აგრეთვე საოჯახო მეურნეობაში დასაქმებულ ქალთა მიღება სამუშაოზე არასრული სამუშაო დღის ან არასრული სამუშაო კვირის ხანგრძლიობით;

სამუშაოზე მიიღონ შინახელოსნებად მოხუცებულობით პენსიონერები, ინვალიდები, საოჯახო მეურნეობაში დასაქმებული პირები, სეზონური ხასიათის სამუშაოებზე წარმოებაში დასაქმებული მუშაკები, აგრეთვე სხვა პირები.

4. ნება დაერთოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა დირექტორებს დაუდონ ხელშეკრულებანი მოხუცებულობით პენსიონერებს და ინვალიდებს, რათა მათ მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო საგნების შეკეთების მხრივ.

5. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს აღნიშნულ ხელშეკრულებათა დადების პირობები და ვადები და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად.

6. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

ა) ნება დართო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში სახალხო მოხმარების ყველა საქონელი, რომლებიც დამზადებულია სპეციალიზებულ საწარმოებში, საამქროებში და უბნებზე, სადაც გამოყენებულია მოხუცებულობითი პენსიონერებისა და ინვალიდების შრომა;

ბ) დააწესა, რომ იმ სპეციალიზებულ საწარმოებს, საამქროებსა და უბნებს (გარდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა), მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, სადაც მოხუცებულობით პენსიონერებისა და ინვალიდების რაოდენობა შეადგენს მომუშავეთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 50 პროცენტს, შეუძლიათ დახარჯონ აღნიშნულ საწარმოთა, საამქროთა და უბანთა გაფართოებისათვის, აგრეთვე მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის ამ საწარმოთა, საამქროთა და უბანთა მოგება იმ წესითა და ოდენობით, რაც გათვალისწინებულია ზემდგომი ორგანოების დადგენილებით;

გ) დაადგინა 1969 წლის 1 სექტემბრიდან წლის ბოლომდე მისცენ:

მოხუცებულობის სახელმწიფო პენსიები სრული ოდენობით მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების სისტემაში შემა-

ვალ საწარმოთა მუშებსა და ოსტატებს, მათი გასამრჯელოს მიუხედავად, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და მეორეული ნედლეულის შეგროვებისა და პირველადი გადამუშავების საწარმოების მუშებს, ოსტატებსა და სხვა მუშაკებს (გარდა ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა);

დანიშნული პენსიები სრული ოდენობით, გასამრჯელოს მიუხედავად, კოლმეურნე პენსიონერებს, რომლებიც, კოლმეურნეობათა თანხმობით, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალ დროს მუშაობენ მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების სისტემაში შემავალ საწარმოებში მუშებად და ოსტატებად.

დ) დაავალა სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაამტკიცოს იმ მუშაკთა რაოდენობის აღრიცხვის წესი, რომლებიც მუშაობენ არასრული სამუშაო დღის ან არასრული სამუშაო კვირის განმავლობაში, აგრეთვე შინახელოსნებისა, შრომისნაყოფიერების გამოანგარიშების დროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 25 სექტემბერი, № 555.

101 იმ სოფელ ადგილების მოსახლეობის აღრიცხვის წესის შესახებ, რომლებიც ადმინისტრაციულად ექვემდებარებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოებს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მოსახლეობის 1939 წლის აღწერის ჩატარების დროს მიღებული იყო და დღემდე არსებობს წესი ქალაქის მოსახლეობის განსაზღვრისა, რომლის მიხედვით მოსახლეობა იმ სოფლის დასახლებული პუნქტებისა, რომლებიც ადმინისტრაციულად ექვემდებარებოდნენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოს, მიეკუთვნებოდა ქალაქის მოსახლეობას. ასეთ დასახლებულ პუნქტებში, როგორც წესი, საკომლო წიგნები არ იყო შემოღებული.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გადიდდა სოფლის დასახლებული პუნქტების რიცხვი, რომლებიც ადმინისტრაციულად ექვემდებარებიან საქალაქო (სადაბო) საბჭოებს, და შესაბამისად გაიზარდა მათი მოსახლეობის რაოდენობაც, რაც ერთგვარ შეუსაბამობას იწვევს აღრიცხვა-ანგარიშგებასა და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს წინადადება და 1970 წლის 1 იან-

ვრიდან ქალაქის მოსახლეობად ჩაითვალოს მხოლოდ ის მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს უშუალოდ ქალაქის (დაბის) ტერიტორიაზე, ხოლო მოსახლეობა იმ სოფლის დასახლებული პუნქტებისა, რომლებიც ადმინისტრაციულად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოს ექვემდებარებიან, მაგრამ არ შედიან ქალაქის (დაბის) საზღვრებში, ჩაითვალოს სოფლის მოსახლეობად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს აღრიცხვა-ანგარიშგების, საფინანსო და სამეურნეო საქმიანობაში გაითვალისწინონ აღნიშნული ცვლილებანი ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის განსაზღვრისათვის.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, თბილისის, ჭიათურისა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მათდამი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებულ სოფლის დასახლებულ პუნქტებში აწარმოონ საკომლო დოკუმენტაცია დადგენილი წიგნებისა და სიის ფორმით, რომელთა მიხედვით, ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წარუდგინონ ანგარიშები სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტურას სოფლის მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების სათანადო საქალაქო (სადაბო) საბჭოების აღმასკომებს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია, მოსული და გასული მოსახლეობის ჩაწერა-ამოწერა სოფლის დასახლების ადგილებში აწარმოონ საკომლო წიგნებით, ე. ი. სოფლის მოსახლეობისათვის არსებული წესის მიხედვით, ქალაქის (დაბის) მოსახლეობისა კი — საბინაო წიგნებით და ამის შესაბამისად უზრუნველყონ მასალების გადაცემა სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისათვის ქალაქის მოსახლეობაზე ცალკე, ხოლო სოფლის დასახლებული პუნქტების მოსახლეობაზე — ცალკე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 26 სექტემბერი, № 566.

102 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 მაისის № 323 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ

„კოლმეურნეობათა ქონების სახელმწიფო დაზღვევის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 28 აგვისტოს № 814 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 6 მაისის № 323 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1946 წლის 21 ივნისს „სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს დამზღვევი ორგანოების მიერ პირუტყვის სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის კანონის დარღვევის თაობაზე“ მიღებული № 1302 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 24 ივლისის № 573 დადგენილების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 5 მაისის № 526 დადგენილებაში „კოლმეურნეობათა ბალანსებიდან დაღუპული დაზღვეული პირუტყვის ღირებულების ჩამოწერის წესის დარღვევის შესახებ“:

ა) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩაითვალოს ძალადაკარგულად:

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოქალაქეთა კუთვნილი პირუტყვის დაღუპვის აქტი უნდა შეადგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული ფორმით სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებმა ან მათ მიერ საამისოდ რწმუნებულმა სასოფლო საბჭოების დეპუტატებმა ერთი დღე-ღამის განმავლობაში იმ დროიდან, რაც დამზღვევებისაგან მიღებული იქნება განცხადება პირუტყვის დაღუპვის შესახებ; ამ აქტებს სასოფლო საბჭოები გადაუგზავნიან სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციებს მათი შედგენიდან 2 დღის ვადაში“.

3. დებულებაში საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 26 იანვრის № 76 დადგენილებით:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო მთელი მისი ადგილობრივი ორგანოებით არის საქართველოს სსრ ერთიანი ორგანიზაცია (საქართველოს სსრ სახდაზღვევა), იმყოფება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში და შედის სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების საკავშირო-რესპუბლიკური სისტემის შემადგენლობაში.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მუშაობის მეთოდიკურ ხელმძღვანელობას, ამ ორგანოების მუშაობის კოორდინაციას და კონტროლს მათი საქმიანობისადმი ახორციელებს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან არსებული სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო“;

ბ) მე-4 პუნქტის უკანასკნელი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მონაწილეობა დასაზღვევი ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებაში“;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სახელმწიფო დაზღვევა საქართველოს სს რესპუბლიკაში ტარდება სსრ კავშირის კანონმდებლობის, საქართველოს სსრ კანონმდებლობის საფუძველზე იმ საკითხებზე, რომლებიც მის გამგებლობაშია შეტანილი სსრ კავშირის კანონმდებლობით, აგრეთვე იმ წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით, რომლებსაც სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრო გამოსცემს“;

დ) მე-6 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე აბზაცი: „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები პასუხს არ აგებენ სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს ვალდებულებებზე, ხოლო სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო პასუხს არ აგებს საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების ვალდებულებებზე“;

ე) მე-10 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს წინადადებებს დასაზღვევი ქონების დაღუპვის ან გაფუჭების თავიდან აცილების ღონისძიებათა ნუსხის შესახებ, რომლებიც სადაზღვევო გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე ხორციელდება, აგრეთვე წინადადებებს აღნიშნული სახსრების ხარჯვის წესის შესახებ“;

ვ) მე-11 პუნქტში სიტყვები: „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის კანონის, სახელმწიფო დაზღვევის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის“ შეიცვალოს სიტყვებით: „სახელმწიფო დაზღვევის შესახებ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის“;

ზ) მე-12 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები:

„ე) შემოსავალ-გასავლის დამტკიცებული წლიური გეგმებისა და სადაზღვევო გადასახდელების შემოსვლის კვარტალური გეგმების, დადგენილი სტატისტიკური და საბუღალტრო აღრიცხვის, ბალანსებისა და სხვა საჭირო მასალების წარდგენა სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოსათვის“;

„ვ) კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათშორისო სათადარიგო ფონდში გადარიცხვა ამ დაზღვევის გადასახდელთა 3 პროცენტისა და კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის ხარჯებზე გადამეტებული შემოსავლის 25 პროცენტისა, რაც საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებს დაუგროვდებათ წლის დამლევისათვის“.

ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს გამოაკლდეს სიტყვები: „ხოლო ასლისა — სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსათვის“;

თ) მე-13 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ“ ქვეპუნქტი:

„ზ) დადგენილი წესით მიიღოს დასაბრუნებელი სესხი კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათშორისო სათადარიგო ფონდიდან იმ წლებში, როცა საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების განკარგუ-

ლებაში არსებული სახსრები საკმარისი არ იქნება კოლმეურნეობებისათვის სადაზღვევო საზღაურის გადასახდელად";

ი) მე-14 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე აბზაცი:

„საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან იქმნება კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის საკითხთა საბჭო დაინტერესებულ სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით";

კ) მე-15 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) მონაწილეობის მიღება სადაზღვევო ქონების დაღუპვისა და დაზიანების თავიდან აცილების იმ ღონისძიებათა გეგმების შემუშავებაში, რომლებიც ხორციელდება სადაზღვევო გადასახდელთა ანარიცხების ხარჯზე, კონტროლი აღნიშნული სახსრების მიზნობრივი დანიშნულებით ხარჯვისადმი";

ლ) მე-17 პუნქტში სიტყვები: „საგანაკვეთო დაზღვევის" შეიცვალოს სიტყვებით „კოლმეურნეობათა და მოქალაქეთა ქონების დაზღვევის";

მ) მე-20 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში სიტყვები: „აწარმოოს იმ ქონების აღრიცხვა (რეგისტრაცია), რომელზედაც სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევა ვრცელდება" — შეიცვალოს სიტყვებით: „აწარმოოს კოლმეურნეობათა და მოქალაქეთა იმ ქონების აღრიცხვა (რეგისტრაცია), რომელზედაც სავადებულო დაზღვევა ვრცელდება", ხოლო სიტყვები „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელები"—შეიცვალოს სიტყვებით: „კოლმეურნეობათა და მოქალაქეთა ქონების სავალდებულო დაზღვევის გადასახდელები";

ნ) 21-ე პუნქტში სიტყვები: „უფროს ინსპექტორს" შეიცვალოს სიტყვით: „უფროსს";

ო) 23-ე პუნქტში სიტყვები: „სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის" შეიცვალოს სიტყვებით: „კოლმეურნეობათა და მოქალაქეთა ქონების სავალდებულო დაზღვევის";

პ) 24-ე პუნქტში სიტყვები: „უფროსი ინსპექტორი" შეიცვალოს სიტყვებით: „ინსპექციის უფროსი";

ჟ) 25-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტი „ე":

„ე) კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის ხარჯებს გადამეტებული შემოსავლის 75 პროცენტი".

ამავე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) სათადარიგო ფონდი ყველა სახეობის დაზღვევის ოპერაციებისათვის, გარდა კოლმეურნეობათა ქონების სავალდებულო დაზღვევისა";

რ) 27-ე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის ხარჯებს გადამეტებული შემოსავალი (25-ე პუნქტის „ე" ქვეპუნქტი) განკუთვნილია მხოლოდ სადაზღვევო საზღაურის გადასახდელად კოლმეურნეობებისათვის ისეთ წლებში, როცა მიმდინარე წლის გადასახდელები საამისოდ არ კმარა, აგრეთვე კოლმეურნეობათა ქონების დაზღვევის სარესპუბლიკათაშორისო სათადარიგო ფონდიდან მიღებული ვალის დროულად დაფარვისათვის. აღნიშნული თანხები ინახება საქართველოს სსრ სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს განსაკუთრებულ ანგარიშზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში";

ამ პუნქტის პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. სათადარიგო ფონდი შეიქმნება მოგებათა ანარიცხებიდან და განკუთვნილია ქონების დაზღვევის (გარდა კოლმეურნეობათა ქონების სავალდებულო დაზღვევისა) სადაზღვევო საზღაურის და პირადი დაზღვევის სადაზღვევო თანხების გადასახდელად იმ შემთხვევებში, როცა მათ ვერ ფარავს მოცემული კალენდარული წლის დაზღვევის ამ სახეობათა ოპერაციების მიმდინარე შემოსავალი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 26 სექტემბერი, № 567.

103 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 მაისის № 368 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

„სახალხო მეურნეობაში დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების შემდგომი გაუმჯობესების და წარმოების სტიმულირებაში კრედიტის როლის ამაღლების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 მაისის № 368 დადგენილების შესაბამისად:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1945 წლის 6 დეკემბრის № 1593 დადგენილება „კვარტალური სამეურნეო გეგმების, ბალანსების, მატერიალური ფონდების განაწილების გეგმებისა და ბიუჯეტის პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 15 მაისის № 583 დადგენილება „ხახვისა და ნივრის წარმოება-დამზადების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

II. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 21 მაისის № 368 დადგენილებით:

ა) ძალაკარგულად ითვლება „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის უფლებათა შემდგომი გაფართოების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 27 ივლისის № 911 დადგენილების პირველი პუნქტის პირველი აბზაცი, პირველი ნაწილის მე-3, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები, მეორე ნაწილის

პირველი პუნქტი და მესამე ნაწილის პირველი და მეორე პუნქტები (დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 5 აგვისტოს № 1136 განკარგულებასთან ერთად);

ბ) სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებებში შეტანილია შემდეგი შესწორებანი:

1) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 ოქტომბრის № 586 განკარგულებასთან ერთად დაგზავნილ „დაგეგმვის მოწესრიგების, სამეურნეო ანგარიშიანობის და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების და სახარჯთაღრიცხვო საქმის გაუმჯობესების შესახებ მშენებლობაში“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1552 დადგენილების 22-ე პუნქტიდან (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 9 მაისის № 402 დადგენილების რედაქციით) ამოღებულია სიტყვები: „29“ და „ლიმიტირებული წიგნაკების ჩეკებით ერთქალაქში ანგარიშსწორების მოწყობის შესახებ“;

2) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 29 ივლისის № 1050 განკარგულებასთან ერთად დაგზავნილი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 12 ივლისის № 773 დადგენილებით დამტკიცებული სამხედრო ორგანიზაციებისათვის პროდუქციის მიწოდების ძირითადი პირობების 89-ე პუნქტში სიტყვები: „ პროცენტის ოდენობით“ შეიცვალა სიტყვებით: „5 პროცენტის ოდენობით“;

3) „სახალხო მეურნეობაში ანგარიშსწორების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 დეკემბრის № 1245 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 8 თებერვლის № 57 განკარგულებასთან ერთად:

მე-4 პუნქტი ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით:

„4. დაწესდეს, რომ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობა, რომლებიც გადაყვანილი არიან დაკრედიტების განსაკუთრებულ რეჟიმზე, ადგილობრივ უნდა შეამოწმონ სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა საფინანსო ორგანოების და ბანკის დაწესებულებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ამ შემოწმების შედეგების მიხედვით გადაუდებელი ზომები ცუდად მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის გასაუმჯობესებლად“;

ძალადაკარგულად ითვლება მე-3, მე-5 და მე-17 პუნქტები, აგრეთვე მე-16 პუნქტი დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა და ორგანიზაციათა ნაწილში;

4) „წარმოების ტექნიკური სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებაში ბანკის კრედიტის როლის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 14 დეკემბრის № 992 დადგენილებაში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 იანვრის № 16 დადგენილებასთან ერთად:

მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „იმ პირობით, თუ ამ დოკუმენტაციის შემუშავებას ეწევა გარეშე ორგანიზაცია“;

პირველი პუნქტის მეორე აბზაცი, მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-3 პუნქტი, აგრეთვე პირველი პუნქტის პირველი აბზაცი ძალადაკარგულად ითვლება გაცემული კრედიტის ვადის ნაწილში;

5) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 24 აპრილის № 247 დადგენილებასთან ერთად დაგზავნილ „ჩვენს ქვეყანაში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 13 მარტის № 157 დადგენილების მე-3 პუნქტის მეორე აბზაცში სიტყვების შემდეგ: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 24 იანვრის № 75 დადგენილებით“ ჩამატებულია სიტყვები: „და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 აპრილის № 280 დადგენილების მე-8 და მე-9 პუნქტებით“;

6) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 746 დადგენილებით დამტკიცებულ მშენებლობის დაფინანსების წესებში, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 20 ოქტომბრის № 1652 განკარგულებით:

37-ე პუნქტში სიტყვები: „მშენებლობაში ახალი ტექნიკის დანერგვის, წარმოების მექანიზაციისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის და წარმოების ტექნიკური სრულყოფის სხვა ღონისძიებათა ხარჯებისათვის“ — შეცვლილია სიტყვებით: „ახალი ტექნიკის დანერგვისა და წარმოების ტექნიკური სრულყოფის და ორგანიზაციის გაუმჯობესების და სხვა ღონისძიებებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ხარჯებისათვის“;

44-ე პუნქტში:

— პირველი აბზაციდან ამოღებულია სიტყვები: „მიმწოდებლებსა და“ და „და ანგარიშსწორებებს“;

— მეექვსე და მეშვიდე აბზაცებიდან ამოღებულია სიტყვები: „და ანგარიშსწორებებს“;

— „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ძალადაკარგულად ითვლება;

— 48-ე პუნქტიდან ამოღებულია სიტყვები: „მიმწოდებლებსა და“;

50-ე პუნქტში:

— პირველი აბზაციდან ამოღებულია სიტყვები: „და ანგარიშსწორების ან გადახდისუუნაროებოდ გამოცხადებულთ“;

— მესამე აბზაციდან ამოღებულია ორჯერ გამეორებული სიტყვები: „და ანგარიშსწორებებს“;

— 45-ე და 46-ე პუნქტები ძალადაკარგულად ითვლება.

7) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებზე დაკვეთების მიხედვით ვალდებულებათა დარღვევისათვის გაერთიანება „სოფლტექნიკის“, აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ქონებრივი პასუხისმგებლობის შესახებ დებულებაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივნისის № 471 დადგენილებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 2 ივლისის № 908 განკარგულებით:

— მე-17 პუნქტში სიტყვები: „3 პროცენტის ოდენობით“ შეცვლილია სიტყვებით: „5 პროცენტის ოდენობით“;

— მე-18 პუნქტში სიტყვები: „0,01 პროცენტის ოდენობით“ შეცვლილია სიტყვებით: „0,03 პროცენტის ოდენობით“;

მე-20 პუნქტში:

— პირველ აბზაცში სიტყვები „5 პროცენტის ოდენობით“ შეცვლილია სიტყვებით: „8 პროცენტის ოდენობით“;

— მეორე აბზაცი ძალადაკარგულად ითვლება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 26 სექტემბერი, № 568.

104 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ბ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ჭიტიაშვილი.

ქ. თბილისი, 1969 წლის 29 სექტემბერი, № 576.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 29 სექტემბრის № 576
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობას რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი და პასუხს აგებს ფიზკულტურისა და სპორტის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სისტემის სრულყოფისათვის, რაც წარმოადგენს მოქალაქეთა კომუნისტური აღზრდისა და ჯანმრთელობის განმტკიცების, შრომისა და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მათი მომზადების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან საშუალებას.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი ამოცანებია:

— მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავება და განხორციელება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით; მოქალაქეთა ფართოდ მოზიდვა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის და საამისო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება;

— მეცნიერულ-მეთოდური მუშაობის ორგანიზაცია ფიზიკურ კულტურასა და სპორტში, ამ დარგში მეცნიერული კვლევის მოწყობის გეგმების კოორდინაცია, პირობების უზრუნველყოფა სპორტულ ღონისძიებათა უსაფრთხოდ ჩატარებისათვის;

— რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა განხორციელება და კონტროლის გაწევა იმისადმი, თუ როგორ ახორციელებენ სპორტულ ღონისძიებებს სხვა ორგანიზაციები;

— ფიზკულტურული კადრების მომზადებისა და მათი რაც შეიძლება ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა;

— სასპორტო ინვენტარისა და მოწყობილობის წარმოების გეგმების კოორდინაცია, მათი განაწილება და სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა;

— შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, კომიტეტის სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებათა, საწარმოთა და სასწავლებელთა უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძღვანელ სამუშაოზე იმ ახალგაზრდების დაწინაურება, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, როგორც კარგმა სპეციალისტებმა;

— კომიტეტის სისტემის ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების მუშა-მოსამსახურეთა და სასწავლებლების მოსწავლეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათთვის შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ახორციელებს ხელმძღვანელობას ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი, როგორც წესი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების მეშვეობით და განაგებს რესპუბლიკური დაქვემდებარების ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებსა და სასწავლებლებს უშუალოდ თვითონ ან მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან, საქართველოს სსრ რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები და მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციები, დაწესებულებები, საწარმოები და სასწავლებლები ქმნიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ერთიან სისტემას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის დებულებას, კომიტეტის სტრუქტურასა და აპარატის მუშაკთა რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტები შესაბამისად ექვემდებარებიან აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს. აფხაზეთის

ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების დებულებებს და ამ კომიტეტების სტრუქტურას და აპარატის მუშაკთა რაოდენობას შესაბამისად ამტკიცებენ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან შეთანხმებით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებებით, ინსტრუქციებითა და მითითებებით, ამ დებულებით, სხვა ნორმატიული აქტებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორ გამოყენებას კომიტეტის სისტემის ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებსა და სასწავლებლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი განაზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას იმ საკითხებზე, რომლებიც კომიტეტის გამგებლობაშია, შეიმუშავებს წინადადებებს მისი სრულყოფის შესახებ და დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის და ადგილობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების პრაქტიკული საქმიანობა ხორციელდება სახელმწიფო, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ხებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოებებთან მჭიდრო კავშირში, საზოგადოებრივი აქტივის ფართო მონაწილეობით, რომელიც გაერთიანებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებთან არსებულ ფიზიკური აღზრდის საბჭოებში, სპორტის სახეობათა ფედერაციებში, მწვრთნელთა საბჭოებში, სპორტული მსაჯების კოლეგიებში, საპრობლემო კომისიებსა და სხვა ორგანიზაციებში.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და განახორციელებს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან, სამინისტროებთან, უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ღონისძიებებს;

ბ) შეიმუშავებს დაინტერესებული სამინისტროების, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით და დაამტკიცებს რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებათა კრებსით კალენდარულ გეგმას სრულიად საკავშირო კალენდარული გეგმის შესაბამისად, განახორციელებს რესპუბლიკური და სრულიად საკავშირო კალენდარული გეგმით გათვალისწინებულ სპორტულ ღონისძიებებს, უზრუნველყოფს კონტროლს სხვა ორგანიზაციების მიერ სპორტულ ღონისძიებათა განხორციელებისადმი;

გ) უზრუნველყოფს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში მეცნიერული კვლევის განვითარებას კომიტეტის სისტემის დაწესებულებებში, აგრეთვე დადგენილი წესით კოორდინაციას გაუწევს ამ სამუშაოს შესრულებას სხვა სამინისტროთა და უწყებათა დაწესებულებებში, განაზოგადებს მოწინავე გამოცდილებას და მეცნიერების მიღწევებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში, ხელს შეუწყობს მათს დახერგვას სპორტული ორგანიზაციების, სასწავლებლების მუშაობის პრაქტიკაში;

დ) აწარმოებს მუშაობის აღრიცხვას ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში, ამტკიცებს რესპუბლიკურ რეკორდებსა და მიღწევებს სპორტის სახეობებში, დადგენილი წესით წარუდგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს სათანადო დოკუმენტაციას ქართველი სპორტსმენების მსოფლიო, ევროპის და საკავშირო რეკორდების დასამტკიცებლად;

ე) დაამტკიცებს ეროვნული სახეობის სპორტში შეჯიბრებათა მოწყობის წესებს; შეიმუშავებს ნორმატივებსა და სპორტულ კლასიფიკაციას სპორტის ეროვნულ სახეობათა მიხედვით; დაამტკიცებს სპორტის სახეობათა მიხედვით თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმებსა და მეთოდიკურ სახელმძღვანელოებს, შეიტანს წინადადებებს ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციასა და „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისათვის“ კომპლექსის ნორმატივებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ;

ვ) დადგენილი წესით მიანიჭებს რესპუბლიკურ სპორტულ წოდებებს, დაჯილდოებს მედლებით, ჟეტონებით, ნიშნებით, დიპლომებით, პრიზებით, სიგელებით სპორტულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს და გამოჩენილ სპორტსმენებს, ფიზკულტურის აქტივისტებს, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუშაკებს, ფიზკულტურულ კოლექტივებს, ნებაყოფლობითს სპორტულ საზოგადოებებსა და ორგანიზაციებს;

ზ) შეისწავლის მოსახლეობის, სპორტული და სხვა ორგანიზაციების მოთხოვნილებებს სასპორტო ინვენტარზე, მოწყობილობასა და სასპორტო ნაგებობებზე, განახორციელებს სასპორტო ინვენტარისა და მოწყობილობის შემოზიდვის, წარმოებისა და განაწილების გეგმების, აგრეთვე სასპორტო ნაგებობათა მშენებლობის გეგმების კოორდინაციას;

თ) შეიმუშავებს სასპორტო ფორმითა და ინვენტარით სპორტსმენთა უზრუნველყოფის ნორმატივებს, სასპორტო და ტურისტული ინვენტარისა და მოწყობილობის ექსპლოატაციის ნორმატივებს, სპორტული ორგანიზაციებისა და ნაგებობათა ინვენტარითა და მოწყობილობით უზრუნველყოფის ნორმატივებს;

ი) დაამტკიცებს ტექნიკურ პირობებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დამზადებულ იმ ძირითად სასპორტო ნაკეთობებისა და მოწყობილობისა, რომელთა ნუსხა მტკიცდება კომიტეტის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით და რომლებიც სავალდებულოა ყველა საწარმოსათვის, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად; შეიმუშავებს საქვეუწყებო საექსპერიმენტო საწარმოებში სასპორტო ნაწარმის ეტალონებსა და ნიმუშებს მასობრივ წარმოებაში დანერგვისათვის; მოაწყობს და კოორდინაციას გაუწევს საპროექტო-საკონსტრუქტორო და საექსპერიმენტო სამუშაოებს ახალი სასპორტო ნაწარმის, სასპორტო მოწყობილობისა და ხელსაწყოების შესაქმნელად და არსებულის სრულყოფისათვის, უზრუნველყოფს სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას ამ საკითხებზე;

კ) მოაწყობს რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სასპორტო ნაგებობათა მშენებლობას კომიტეტის სისტემაში, რეგლამენტაციას გაუწევს რესპუბლიკაში სასპორტო ნაგებობათა ექსპლოატაციის წესს;

ლ) მოაწყობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა აღრიცხვას და შეისწავლის რესპუბლიკის მოთხოვნილებას ამ სპეციალისტებზე; უზრუნველყოფს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სპეციალისტთა მომზადებას კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში და დადგენილი წესით განახორციელებს ფიზკულტურული კადრების განაწილებას; დაამტკიცებს სპეციალურ დისციპლინებში სასწავლო პროგრამებს საქვეუწყებო და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის, პედაგოგიური ინსტიტუტების ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტებისათვის, მოსახლეობის ფიზიკური მომზადების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის მოთხოვნათა გათვალისწინებით განიხილავს შესათანხმებლად წარმოდგენილ სამინისტროებისა და უწყებების სკოლების, სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის პროგრამებს;

მ) დადგენილი წესით განახორციელებს ერთიან ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას მოსახლეობაში ფიზიკური აღზრდისა და სასპორტო მუშაობისადმი, აგრეთვე მეთოდურ ხელმძღვანელობას სპორტული სკოლების მუშაობისადმი, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, და კოორდინაციას გაუწევს ამ სკოლების ქსელის განვითარების გეგმებს;

ნ) პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყოფს აღმზრდელობითი მუშაობის წარმოებას სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა შორის;

ო) დადგენილი წესით ეწევა მუშაობას ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მწვრთნელთა და სხვა სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;

პ) გასწევს ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას, უზრუნველყოფს დადგენილი წესით გაზეთების, ჟურნალების, სასწავლო და მეცნიერულ-მეთოდიკური ლიტერატურის, ბიულეტენების გამოცემას ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე, მონაწილეობას მიიღებს აღნიშნული ლიტერატურის გამოცემის წლიური და პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში;

ქ) დადგენილი წესით განახორციელებს კავშირს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე და მოაწყობს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს, შეარჩევს რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდებისათვის სპორტსმენებს საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად;

8. დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კაპიტალური მშენებლობის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ფინანსებისა და კრედიტის, კადრების, შრომისა და ხელფასის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიური, სამეცნიერო-ტექნიკური და კულტურული კავშირის დარგში საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებათა, საწარმოთა და სასწავლებელთა საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქციების განხორციელების დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ხელმძღვანელობს შესაბამისი დადგენილებებითა და მოთხოვნებით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს სამინისტროებისაგან, უწყებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან დაწესებული სტატისტიკური ანგარიშგება ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე, რაც კომიტეტს სჭირდება მასზე დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად;

ბ) ჩააბას შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით ორგანიზაციები, დაწესებულებები, უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერი მუშაკები და სპეციალისტები ფიზიკური კულტურისა და სპორტის ცალკეულ საკითხთა შემუშავებაში და კონსულტაციების მოწყობაში;

გ) დაავალოს მის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებს;

დ) განახორციელოს კონტროლი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობისადმი სამინისტროთა და უწყებათა სისტემაში, აგრეთვე სპორტულ ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

ე) დაამტკიცოს დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით დებულებანი სპორტული სკოლების შესახებ;

ვ) მოისმინოს კომიტეტის კოლეგიის სხდომებზე სამინისტროთა, უწყებათა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა და სასწავლებელთა ხელმძღვანელი მუშაკების ცნობები ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე;

ზ) მოიწვიოს დადგენილი წესით აქტივის თათბირები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, რათა განიხილოს მოხსენებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა შესახებ, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე განიხი-

ლოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოებისა და სასწავლებლების საქმიანობის გაუმჯობესებასთან.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს დადგენილებებსა და ინსტრუქციებს, რაც აუცილებლად უნდა შეასრულონ სამინისტროებმა, უწყებებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, რომლებიც სპორტის და მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის საკითხებზე მუშაობენ.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მოვალეობებს ანაწილებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად აგებს პასუხს კომიტეტზე დაკისრებული ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, განსაზღვრავს თავმჯდომარის მოადგილეების, სამმართველოების, განყოფილებების და კომიტეტის სხვა ქვეგანყოფილებების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას კომიტეტის საქმიანობის ცალკეული დარგების ხელმძღვანელობისათვის, კომიტეტის სისტემის ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, საწარმოთა და სასწავლებელთა მუშაობისათვის.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებათა, ინსტრუქციათა და მითითებათა საფუძველზე და შესასრულებლად, იძლევა მითითებებს, რომლებიც აუცილებლად უნდა შეასრულონ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებმა და მათდამი დაქვემდებარებულმა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, საწარმოებმა და სასწავლებლებმა, აგრეთვე ამოწმებს მათს შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს რესპუბლიკის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებთან ერთად.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტში შეიქმნება კოლეგია, რომელშიც შედიან კომი-

ტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე) და თავმჯდომარის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობაში, გარდა ამისა, შედიან: საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ არმიისა, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, მსჯელობს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტებისადმი, ორგანიზაციებისადმი, დაწესებულებებისადმი, საწარმოებისა და სასწავლებლებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის და განაწილების საკითხებზე, განიხილავს უმნიშვნელოვანესი დადგენილებების, ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების თავმჯდომარეთა მოხსენებებს, კომიტეტის სამმართველოების, განყოფილებების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კომიტეტის სისტემის საწარმოებისა და სასწავლებლების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი, როგორც წესი, ხორციელდება კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით. კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარე ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას, ამასთან მოახსენებს წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

16. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ძირითადი პრობლემების განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან იქმნება სამეცნიერო საბჭო, რომელშიც შედიან თვალსაჩინო მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპეცია-

ლისტები, სამეცნიერო დაწესებულებათა, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობას და დებულებას მის შესახებ ამტკიცებს კომიტეტის თავმჯდომარე.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე დებულებას კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტის სამმართველოები და განყოფილებები შეიძლება გადაყვანილ იქნან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ფიზიკური კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მიერ სამეურნეო ანგარიშზე.

კომიტეტის თავმჯდომარე ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს საქვეუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, აგრეთვე უცვლის მათ საჭიროების შემთხვევაში დაქვემდებარებას, ამტკიცებს საწარმოებისა და საქვეუწყებო ორგანიზაციების საფინანსო გეგმებს, ტიპურ შტატებსა და სტრუქტურას.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და მისი სახელწოდება.

---

105 **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 და 1968 წლის 9 დეკემბრის № 959 დადგენილებებთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების შესახებ**

„დავალებათა და ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 27 ოქტომბრის № 988 დადგენილებასთან და „პირდაპირი შერეული სარკინიგზო-სანაოსნო მიმოსვლით ტვირთზიდვისას ნავსადგურებიდან (ნავმისადგომებიდან) და სადგურებიდან ტვირთის არადროული გაზიდვისათვის სატრანსპორტო ორგანიზაციების ურთიერთ მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 9 დეკემბრის № 959 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 571 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 22 ივლისის № 571 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

ა) „სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის როლისა და ამოცანების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 21 აგვისტოს № 1789 დადგენილების 32-ე პუნქტი (დადგენილება დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 სექტემბრის № 883 დადგენილებით);

ბ) „სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების ხელშეკრულებათა დადების წესის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 22 აგვისტოს № 902 დადგენილების მე-16 პუნქტის პირველი აბზაცი და მე-20 პუნქტის მესამე აბზაცი (დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 სექტემბრის № 626 დადგენილებით).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 6 ოქტომბერი, № 580.

ეროვნული ბიბლიოთეკა

106 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება გამოსახლება სასამართლო წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„105. ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 7 ოქტომბერი, № 584.

107 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აგვისტოს № 647 დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

შემოწმებით დადგენილია, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აგვისტოს № 647 დადგენილება „მრგვალი ხე-ტყის დახერხვის იმ ხე-ტყის სახერხ საწარმოებში თავმოყრის შესახებ, რომლებსაც ხე-ტყის სახერხი ჩარჩოები აქვთ".

ზემოაღნიშნული დადგენილებით აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დავალებული ჰქონდათ დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და უწყებებთან ერთად განეხილათ საკითხი იმის შესახებ, რომ თავმოყრილი ყოფილიყო მრგვალი ხე-ტყის დახერხვა იმ სახერხ დანადგარებზე, რომლებიც აღჭურვილი არიან ხე-ტყის სახერხი ჩარჩოებით, და 1959 წლის 1 სექტემბრისათვის გაეუქმებინათ ზედმეტი, უსარგებლო სახერხი დანადგარები. ეს დავალება თითქმის არ შესრულებულა, ხოლო ზოგიერთ საქალაქო და რაიონული საბჭოს აღმასკომს არც კი მიუღია შესაბამისი გადაწყვეტილება.

ასევე არ სრულდება დადგენილების ის ნაწილი, რომლის მიხედვით უკლებლივ ყველა ორგანიზაციას და უწყებას აეკრძალა ხე-ტყის სახერხი საწარმოს მოწყობა რესპუბლიკის მთავრობის ნებართვის მიუღებლად. შემოწმებამ ცხადყო, რომ ორგანიზაციებმა, უწყებებმა და კოლმეურნეობებმა ამ საქმეში გამოიჩინეს სრული თვითნებობა და უნებართვოდ დაამონტაჟეს ბევრი სახერხი დანადგარი. თუ 1959 წელს რესპუბლიკაში ირიცხებოდა სულ 1016 სახერხი დანადგარი (მათ შორის 869 ფარგლული ხერხი და 147 სახერხი ჩარჩო), დღეისათვის დანადგართა რაოდენობა აღწევს 1647 ერთეულს (მათ შორის ფარგლული ხერხი 1328 ერთეული და ჩარჩო ხერხი 319 ერთეული), ანუ ხე-ტყის სახერხ დანადგართა ზრდა 60 პროცენტს შეადგენს.

დიდად გაიზარდა ხე-ტყის დანადგართა რაოდენობა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში (106 ერთეულით), აჭარის ასსრ-ში (100 ერთეულით), სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში (13 ერთეულით), ბორჯომის რაიონში (38 ერთეულით), აგრეთვე მესტიის (10 ერთეულით), ლენტეხის (11 ერთეულით), ადიგენის (15 ერთეულით), გურჯაანის (9 ერთეულით) და სხვა რაიონებში.

დადგენილია, რომ სახერხი ჩარჩოს დანადგარებთან შედარებით ფარგლურხერხებიან დანადგარებზე ხე-ტყის ხერხვა 10-12 პროცენტით მეტ დანაკარგს იძლევა; მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ფართოდ წარმოებს მრგვალი მორების ხერხვა ფარგლურხერხიან დანადგარებზე. ამასთან მხერხავთა უმრავლესობას არა აქვს სათანადო კვალიფიკაცია.

შემოწმების მასალების ანალიზით დადგენილია, რომ რესპუბლიკაში არსებულ ხე-ტყის სახერხ დანადგართა სიმძლავრე შეადგენს სულ ცოტა 4 მილიონ 34 ათას კუბურ მეტრს, მაშინ როდესაც დასახერხი მრგვალი მორების რაოდენობა წლიურად 670 ათას კუბურ მეტრს არ აღემატება, რაც 6-ჯერ ნაკლებია არსებულ სახერხ დანადგართა სიმძლავრეებთან შეფარდებით, ამრიგად 1370

სახერხი დანადგარი ზედმეტია, რის შედეგადაც ძალზე დაბალია სახერხ დანადგართა დატვირთვის საშუალო კოეფიციენტი და იგი 12-15 პროცენტს შეადგენს.

დასახერხი მორების წლიური ფონდებისა და არსებულ სახერხ დანადგართა სიმძლავრეების გათვალისწინებით ზედმეტი დანადგარები აქვთ, აფხაზეთის ასს რესპუბლიკას — 179 ერთეული, აჭარის ასს რესპუბლიკას — 116 ერთეული, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს — 34 ერთეული, ქ. თბილისს — 53 ერთეული, ქ. ქუთაისს — 29 ერთეული, ბორჯომის რაიონს — 45 ერთეული, სიღნაღის — 30 ერთეული, გეგეჭკორის — 35 ერთეული და სხვ.

ამასთან ერთად ხე-ტყის სახერხ საწარმოთა უმეტესობა კუსტარულად არის მოწყობილი და მოთავსებულია მშძველებულ ხის ფარდულებში, სადაც არ არის დაცული უსაფრთხოების ტექნიკისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა ელემენტარული მოთხოვნები.

არ არის მოწესრიგებული დასახერხი ხე-ტყის, მზა პროდუქციის გამოსავლიანობისა და მისი გაცემის აღრიცხვა, ამასთან სახერხ საწარმოებში არ ხდება მიტანილი მორების შეძენის საბუთების შემოწმება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკის ტყეების დაცვაზე.

რესპუბლიკაში ხე-ტყის სახერხი დანადგარების რაოდენობის ზრდა და მრგვალი ხე-ტყის დახერხვის მოუწესრიგებლობა იმით აიხსნება, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, აგრეთვე უწყებებმა და ორგანიზაციებმა არ მიიღეს ქმედითი ზომები ამ საქმეში სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ყურადღება მიექცეს ხე-ტყის სახერხი საწარმოებისა და საამქროების მუშაობის არანორმალურ მდგომარეობას და დაევალოთ მათ, უწყებებთან, ორგანიზაციებთან და კოლმეურნეობებთან ერთად, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ საქმეში სრული წესრიგის დამყარებას, სახელდობრ:

ა) დაუყოვნებლივ გაუქმონ ის სახერხი დანადგარები, რომლებიც დადგმულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 აგვისტოს № 647 დადგენილების შემდეგ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვის მიუღებლად.

ამასთან გაითვალისწინონ წვრილი, გაფანტული სახერხების თავმოყრა ერთ ან რამდენიმე ობიექტზე და ფარგლურიხერხების მაქსიმალურად შემცირება.

გააუქმონ ყველა კუსტარული, მოუწყობელი ზედმეტი სახერხები და დაავალონ გამსხვილებულ ხე-ტყის სახერხ საწარმოებს დაუხერხონ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას მრგვალი ხე-ტყე დამკვეთის სპეციფიკაციის მიხედვით.

1969 წლის 1 დეკემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დატოვებულ სახერხ დანადგართა დისლოკაცია და გაუქმებული დანადგარების ნუსხა მეპატრონე უწყებების, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების აღნიშვნით;

ბ) 1969 წლის ბოლომდე უზრუნველყონ დატოვებულ ხე-ტყის სახერხ საწარმოებში შენობების, ტერიტორიის, დანადგართა და ელექტროგაყვანილობის სრულ წესრიგში მოყვანა. აგრეთვე უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება;

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხე-ტყის სახერხ საწარმოებსა და საამქროებში აღრიცხვის მოწესრიგებას, აღკვეთონ ამ საქმეში არსებული ქაოსი, რაც ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი პირებისათვის გამდიდრების ხელსაყრელ პირობას ქმნის. სახერხი საწარმოები და საამქროები დააკომპლექტონ სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშაკებით.

2. გაუქმდეს რესპუბლიკის ტყის მასივებში მოქმედი ყველა სახერხი დანადგარი და ამიერიდან აეკრძალოს უკლებლივ ყველა უწყებას, ორგანიზაციას და კოლმეურნეობას ტყის კორომებში სახერხი დანადგარების მოწყობა.

3. დაევალოთ სამინისტროებს, უწყებებსა და სხვა საბჭოთა ორგანოებს ძმავალში წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასაბუთებული წინადადებანი თითოეულ ცალკე შემთხვევაში ხე-ტყის სახერხი დანადგარების მოწყობის შესახებ.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ უწყებებისათვის, ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისათვის ხე-ტყის სახერხი დანადგარების გამოყოფისას პირველ რიგში მხედველობაში მიიღონ იმ ტერიტორიაზე არსებული სახერხი დანადგარების სიმძლავრეთა დატვირთვა, სადაც გათვალისწინებულია მისი დადგმა, და სახერხების დაუტვირთაობის შემთხვევაში არ დაუშვან დანადგარების დამატებით გამოყოფა.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს 1970 წლის მეორე კვარტალში შეამოწმოს ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 9 ოქტომბერი, № 588.

108 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 7 მარტის № 126 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1969 წლის 20 ოქტომბერი, № 597.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 20 ოქტომბრის № 597
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი არის საკავშირო-რესპუბლიკური ორგანო და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი ხელმძღვანელობს კვალიფიციური მუშების მომზადებას იმ ახალგაზრდობის რიცხვიდან, რომელსაც დამთავრებული აქვს რვაწლიანი და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, მეთოდურ დახმარებას უწევს რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს იმ მხრივ, რომ შეასწავლონ პროფესია მუშებს უშუალოდ წარმოებაში და პასუხისმგებელია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში კვალიფიციური მუშათა მომზადების მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ამოცანაა:

პროფესიულ-ტექნიკური განათლების შემდგომი განვითარება საქართველოს სს რესპუბლიკაში, რაც უნდა ხდებოდეს კვალიფიციურ მუშათა გეგმაშეზომილი მომზადებით ახალგაზრდობის რიცხვიდან, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით;

კვალიფიციურ მუშათა მომზადების ხარისხის გაუმჯობესება თანამედროვე წარმოების მოთხოვნების გათვალისწინებით, მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის, მათი ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარების გაუმჯობესება;

კვალიფიციური მუშების მომზადების დავალებათა და სახელმწიფო გეგმით დაწესებულ სხვა დავალებათა შესრულება, სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვა სისტემაში;

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება სახალხო მეურნეობისათვის კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და უშუალოდ წარმოებაში, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესება, კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესაბამისად;

დახმარების გაწევა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის კვალიფიციურ მუშათა მომზადებაში, უწინარეს ყოვლისა ასამუშავებელი ობიექტებისათვის, და იმ მუშაკთა გადამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაში, რომლებიც თავისუფლდებიან წარმოების კომპლექსურ მექანიზაციას-თან და ავტომატიზაციასთან, შრომის ორგანიზაციისა და წარმოების გაუმჯობე-სებასთან დაკავშირებით;

სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლი, რომლებიც დაკავშირებულია პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში კვალიფიციური მუშების მომზადებასთან, აგრეთვე მუშათა კადრების მოსამზადებელი სასწავლებლების განვითარებასთან და მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობასთან;

შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, კომიტეტის სისტემის სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში;

კომიტეტის სისტემის სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსწავლეთა, მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, შრომის უსაშიშრო პირობების შექმნა მათთვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი უშუალოდ ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობას ქვესაუწყებო სასწავლებლების, სხვა დაწესებულებების, ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობაში და უზრუნველყოფს კონტროლს ყველა პროფესიულ სასწავლებელსა და სკოლაში კვალიფიციურ მუშათა მომზადების ხარისხისადმი, ამ სასწავლებლებისა და სკოლების უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მითითებანი მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე სავალდებულოა იმ სამინისტროებისა, უწყებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის, რომლებიც კვალიფიციურ მუშათა მომზადებას ახორციელებენ საქართველოს სს რესპუბლიკაში

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, მისი ქვესაუწყებო სასწავლებლები, სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები შეადგენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ერთიან სისტემას.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის დადგე-

ნილებებითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებითა და მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ღონისძიებებს რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის;

ბ) საქართველოს სსრ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის განვითარების, ამ სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების წლიური და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილების შესაბამისად, და მუშათა პროფესიულ-ტექნიკური შემადგენლობის ცვლილებების გათვალისწინებით და ამ გეგმების პროექტებს წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს;

გ) ხელმძღვანელობას გაუწევს სპეციალური და საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლების დაყენებას კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში, დადგენილი წესით შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია კომიტეტის სისტემის სასწავლებელთა მასწავლებლების, საწარმოო სწავლების ოსტატების და სხვა მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლება;

დ) მოაწყობს მუშაობას მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისა და კომიტეტის სისტემის სასწავლებლების მოსწავლეთა შორის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა განხორციელებისათვის;

ე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად სასწავლო, პედაგოგიური ლიტერატურის გამოცემის გეგმებს;

ვ) შეიმუშავებს და განახორციელებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან ერთად ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციას შრომითი რესურსების უკეთ გამოყენებისა და იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობამ სწორად ამოირჩიოს პროფესია პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შესვლისას;

ზ) კონტროლს გაუწევს სამინისტროებისა და უწყებების პროფესიულ სასწავლებლებსა და სკოლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადებისას სასწავლო გეგმებისა და პროგრამების, ინსტრუქციებისა და დებულებების შესრულებას, აგრეთვე მეთოდურ დახმარებას აღმოუჩენს სამინისტროებს, უწყებებს და საწარმოებს მუშათა თეორიული სწავლებისათვის უშუალოდ წარმოებაში;

თ) განახორციელებს კომიტეტის ქვესაუწყებო სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დაფინანსებას და მატერიალურ-ტექნიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომარაგებას, მოაწყობს მათს საბუღალტრო აღრიცხვას და ანგარიშგებას, კონტროლს გაუწევს მათს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, მონაწილეობას მიიღებს კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში მუშათა კადრების მოსამზადებლად საჭირო ასიგნებათა განსაზღვრაში, აგრეთვე ამ სასწავლებლების უზრუნველყოფაში მოწყობილობითა და მასალებით;

ი) მოაწყობს გამოცდილების გაზიარებას კომიტეტის სისტემის სასწავლებლებს შორის და შეათანხმებს მათს საქმიანობას პროფესიულ-ტექნიკური განათლების დარგში;

კ) განახორციელებს კონტროლს იმ ახალგაზრდა მუშების სწორად გამოყენებისადმი, რომლებიც სამუშაოზე იგზავნებიან პროფესიულ-ტექნიკური და ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ;

ლ) შეიმუშავებს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად მოქმედი სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და სხვა სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ;

მ) კომიტეტის სისტემის სასწავლებლებს დაუგზავნის სსრ კავშირის და საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებებისათვის კვალიფიციური მუშების მომზადების დავალებებს (მუშათა მიღებისა და იმ პირთა სამუშაოზე გაგზავნისა, რომლებმაც სასწავლებლები დაამთავრეს), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული მომზადების გეგმების შესაბამისად;

ნ) დადგენილი წესით დააჯილდოებს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მოწინავე მუშაკებს საპატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებას.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი დადგენილი წესით შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს რესპუბლიკური დაქვემდებარების სასწავლებლებს, სხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მისთვის დამტკიცებულ საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოსაგან, სამინისტროებისა, უწყებებისა და სხვა ორგანიზაციებისაგან დაწესებული სტატისტიკური ანგარიშგება, აგრეთვე ცნობები და მასალები პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე;

ბ) დადგენილი წესით მოიწვიოს აქტივის თათბირები საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, მოისმინოს და განიხილოს ამ თათბირებზე მოხსენებანი სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებზე, პროფესიულ-ტექნიკური განათლების უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე. აგრეთვე განიხილოს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის საფუძველზე კომიტეტისა და მისი ქვესაუწყებო სასწავლებლე-

ბის, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას კომიტეტის თავმჯდომარე, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეიტანება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო. თავმჯდომარის მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: კომიტეტის თავმჯდომარე (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეები თანამდებობის მიხედვით და კომიტეტის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე პერსონალურად პასუხისმგებელია იმ ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, რაც დაკისრებული აქვს კომიტეტს, იგი დააწესებს თავმჯდომარის მოადგილეების პასუხისმგებლობას კომიტეტის სისტემის სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს მოქმედი კანონების, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებისა და მითითებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად ბრძანებებსა და ინსტრუქციებს კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე, იძლევა კომიტეტის სისტემის სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და შეამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გამოსცემს საჭირო შემთხვევებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს პროფესიულ-ტექნიკური განათლების განვითარების ძი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რითად საკითხებს და კომიტეტის საქმიანობის სხვა საკითხებს, ქვესაუწყებო სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს კომიტეტის განყოფილებების, კომიტეტის სისტემის სასწავლებლების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშებს, აგრეთვე სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ინფორმაციებს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის გაშლის შესახებ და კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება, როგორც წესი, კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით, კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში, კომიტეტის თავმჯდომარე განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აცნობონ თავიანთი აზრი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

კომიტეტის ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს, აგრეთვე კომიტეტის განყოფილებების დებულებებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

---

109 რძის სახელმწიფო სტანდარტის და დიფერენცირებული შესასყიდი ფასების შემოღების ვადების შესახებ

დასამზადებელი რძის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეასრულონ მოსამზადებელი სამუშაოები, რათა აღჭურვილ იქნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და რძის მრეწველობის საწარმოები მოწყობილობით, რეაქტივებითა და სხვა მასალებით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაიწყოს 1973-1975 წლებში დამზადებული რძის მიღება სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია უმაღლესი ხარისხის რძის პროდუქციის გამომუშავების გადიდება, რათა უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება ამ პროდუქციაზე და მიღებულ იქნეს დამატებითი შემოსავალი მისი რეალიზაციისაგან, ამასთან არ დაუშვან ზარალი სახელმწიფოსათვის რძის სახელმწიფო სტანდარტის და დასამზადებელი რძის დიფერენცირებული ფასების შემოღების დროს.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ „მთავარმომარაგებამ", საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქსოფლტექნიკამ" და საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და რძის მრეწველობის საწარმოები მოწყობილობითა და მასალებით, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაიწყოს დამზადებული რძის მიღება სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით (საკვები მარკების პოლიეთილენისაგან დამზადებული მათარების ჩათვლით), სრული მოთხოვნილების მოცულობით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოვეტმომარაგებას უზრუნველყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მომარაგება დოლბანდით, ლაბორატორიული მოწყობილობით, ქიმიური რეაქტივებით, მრეცხავი და მადეზინფექციირებელი საშუალებებით, ბამბისა და სხვა ფილტრებით რძისათვის.

5. დაწესდეს, რომ რძის სახელმწიფო სტანდარტისა და დიფერენცირებული შესასყიდი ფასების შემოღების მომენტიდან გაუქმებულია რძის ფასების წანამატი და ფასდაკლება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 4 დეკემბრის № 1701 განკარგულებით და საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 240 დადგენილების მე-3 პუნქტით.

6. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ:

ა) დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტთა, ზომათა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით, დააზუსტოს დასამზადებელი რძის სახელმწიფო სტანდარტი, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა დასამზადებელი რძის ხარისხის გაუმჯობესება, სტანდარტის გამარტივება და რძის მიღების დაჩქარება;

დაავალა სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყოს რძის შეუფერხებლივ მიღება რძის მრეწველობის საწარმოების მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

ბ) დაავალა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს, დასამზადებელი რძის დამტკიცებული სახელმწიფო სტანდარტის შესაბამისად მიღების უზრუნველყოფის მიზნით, დაამტკიცოს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარდგენით და სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, რძის დიფერენცირებული შესასყიდი ფასები მისი ხარისხის მიხედვით;

დააწესა, რომ პირველი ხარისხის რძის შესასყიდი ფასი უნდა იყოს მეორე ხარისხის რძის ფასზე მეტი 5-7 პროცენტით, ხოლო რძის ხარისხის მიხედვით დიფერენცირებული შესასყიდი ფასები უნდა დამტკიცდეს რძის ფასების არსებული დონის ფარგლებში, ისე, რომ ამან ზარალი არ მიაყენოს სოფლის მეურნეობას და სახელმწიფოს ამ დიფერენცირებული ფასების დამტკიცების პერიოდში;

გ) დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემების სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, მანქანათმშენებლობის სამინისტროს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს, მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების სამინისტროს, სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სამედიცინო მრეწველობის, გაითვალისწინონ სახალხო-სამეურნეო გეგმებით სარძეო ინვენტარის, ლაბორატორიული მოწყობილობის, მრეცხავი და მადეზინფექციერებელი საშუალებების, ბამბის ფილტრებისა და ქიმიური რეაქტივების დამამზადებელ სიმძლავრეთა ზრდა ქვესაუწყებო საწარმოებში იმ ანგარიშით, რომ სრულად დაკმაყო-

ფილდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და რძის მრეწველობის საწარმოების მოთხოვნილება მათზე, ხოლო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის საძინისტრომ დაამტკიცოს ამ მოწყობილობის სანიმუშო ნუსხები, რომლებიც საჭიროა რძის ხარისხის გამოსარკვევად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ლაბორატორიებში და რძის პირველადი გადამუშავებისათვის მეცხოველეობის ფერმებში, აგრეთვე უზრუნველყოს აღნიშნული ლაბორატორიებისა და ფერმების დაკომპლექტება ამ მოწყობილობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 21 ოქტომბერი, № 598.

110 საწარმოთა და დაწესებულებათა იმ სიის დამატების შესახებ, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეივსოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებული სია იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშათა და მოსამსახურეთა გასახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის და სიის 45 და 48 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„45. სანატორიუმების, პანსიონატების, საკურორტო პოლიკლინიკების საცხოვრებელი სახლები“.

„48. პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭოს სანატორიუმების, პანსიონატების, დასასვენებელი სახლებისა და საკურორტო პოლიკლინიკების საცხოვრებელი სახლები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 21 ოქტომბერი, № 599.

ეროვნული ბიბლიოთეკა

111 ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. აეკრძალოთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო მეურნეობებსა და მოსახლეობას ციტრუსოვანთა ნაყოფის გაყიდვა რესპუბლიკის საკოლმეურნეო ბაზრებსა და სხვა ადგილებში, აგრეთვე მისი გატანა სარეალიზაციოდ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

2. დაწესდეს, რომ ციტრუსოვანთა მოსავლის შესყიდვას კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო მეურნეობებში (გარდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებისა, რომლებიც უშუალოდ გზავნიან ციტრუსოვანთა ნაყოფს), აგრეთვე მოსახლეობაში აწარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ სისტემა. აეკრძალოს ეს ოპერაციები ყველა დანარჩენ ორგანიზაციასა და უწყებას.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“ მოსახლეობისაგან ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვა აწარმოოს საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებით, რისთვისაც წინასწარ განისაზღვროს მოსალოდნელი მოსავალი.

დამტკიცდეს მოსახლეობისაგან ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვის ტიპური საკონტრაქტაციო ხელშეკრულების პროექტი.

4. მიღებულ იქნეს აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოების, მახარაძისა და ლანჩხუთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების წინადადება და დადგინდეს მოსახლეობისაგან მანდარინის მოსავლის შესყიდვის შემდეგი წესი:

მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული სტანდარტული მანდარინის ნაყოფის 70 პროცენტი მოსავალი შეისყიდება სახელმწიფო შესყიდვის ფასებად, ხოლო დანარჩენი 30 პროცენტი მოსავალი შეისყიდება კოოპერაციული ვაჭრობის წესით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 25 აპრილის № 271 დადგენილების შესაბამისად;

სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ სისტემის მიერ კოოპერაციული ვაჭრობის წესით შესყიდული მანდარინი გადაეცემა სარეალიზაციოდ სამომხმარებლო კოოპერაციას — „ცეკავშირს“, მასთან დადებულ საკონტრაგენტო ხელშეკრულების საფუძველზე.

5. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების პირველი და მეორე მუხლებით გათვალისწინებული პირობების დამრღვევნი, მათ შორის ორგანიზაციათა ხელმძღვანელებიც — მიცემული იქნებიან ადმინისტრაციულ ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სა-

ქართველოს შავი ზღვის სანაოსნომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშია სატრანსპორტო საშუალებანი:

არ მიიღონ გადასაზიდად ციტრუსოვანთა ნაყოფი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს განრიგების წარუდგენლად;

ფართოდ გააცნონ თავიანთი სისტემის ყველა მუშაკს ეს დადგენილება და მკაცრად დასაჯონ ის პირნი, რომლებიც დაარღვევენ ამ წესს.

7. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა მკაცრი კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახელმწიფო კომიტეტს „საქკონსერვხილბოსტანს“, აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მახარაძის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების ტრესტებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს:

ფართოდ განუმარტონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო მეურნეობებსა და სოფლის მოსახლეობას ეს დადგენილება;

უზრუნველყონ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმების უცილობლივ შესრულება;

გულდასმით შეამოწმონ და განსაზღვრონ საკარმიდამო ნაკვეთებზე ციტრუსოვანთა ნაყოფის მოსალოდნელი მოსავალი და დროულად უზრუნველყონ მოსახლეობასთან საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება;

დააკომპლექტონ დამამზადებელი პუნქტები საქმის მცოდნე და სანდო მუშაკებით.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტმა „საქკონსერვხილბოსტანმა“ და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დროულად წარუდგინონ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს განაცხადები ციტრუსოვანთა ნაყოფის გადასაზიდად რეფრიჟერატორული მატარებლების, სექციებისა და ცალკეული ვაგონების საჭირო რაოდენობის შესახებ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ სამტრედიის განყოფილებაში მოამზადოს ციტრუსების გადაზიდვის სეზონის დაწყებისათვის იზოთერმული ვაგონების პარკის საჭირო რეზერვი ციტრუსოვანთა ნაყოფის შეუფერხებლივ გასატანად.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტმა „საქკონსერვხილბოსტანმა“ და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების კომიტეტმა შეიმუშაონ ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოებისა და დამზადების გადიდებით მეურნეობებისა და მოსახლეობის და-

ინტერესების ღონისძიებანი და 1970 წლის I კვარტალში წარმოუდგინონ საქართველოს **სსრ მინისტრთა საბჭოს.**

11. ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით:

გაუქმდეს „ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვისა და რეალიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 31 ოქტომბრის № 552 დადგენილება;

„საკოლმეურნეო ბაზრებში ფასების მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 8 ოქტომბრის № 586 დადგენილების მეოთხე პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „ციტრუსოვანთა ნაყოფი“.

12. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

13. წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს პროექტი ბრძანებულებისა მთავრობის დადგენილებათა დარღვევით სოფლის მეურნეობის პროდუქტების ვაჭრობისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი**

ქ. თბილისი, 1969 წლის 23 ოქტომბერი, № 605.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 23 ოქტომბრის № 605
დადგენილებით

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

მოსახლეობისაგან ციტრუსოვანთა ნაყოფის შესყიდვის კონტრაქტაციაზე

19 ———— წ „——“ ———— თვე ———— სოფელი / ქალაქი

„საქკონსერვხილბოსტანის“ ———— დამზადების კანტორამ, შემდეგში „დამამზადებლად“ წოდებულმა ————

(თანამდებობა, გვარი, სახელი და მამის სახელი)

ერთი მხრივ და მცხოვრებმა ———— სოფელ / ქალაქ

(სოფლის, ქალაქის დასახელება, გვარი, სახელი და მამის სახელი)

შემდეგში „ჩამბარებლად“ წოდებულმა, მეორე მხრივ, დავდეთ ეს ხელშეკრულება 19 ———— წლის მოსავლის ციტრუსოვანთა ნაყოფის კონტრაქტაციაზე.

I. ჩამბარებელი ვალდებულია

1. მიჰყიდოს დამამზადებელს 19 ———— წლის მოსავლიდან სტანდარტული ნაყოფი: მანდარინი ————ცენტნერი, აქედან 30%, ანუ ———— ცენტნერი კოოპვაჭრობის წესით; ფორთოხალი ———— ცენტნერი და ლიმონი ———— ცალი.

ჩაბარებული პროდუქციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებს. ჩაბარებული არასტანდარტული ციტრუსოვანი ნაყოფი არ ჩაითვლება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის შესრულებაში.

2. აწარმოოს ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს და დამამზადებლის მიერ დაწესებულ ვადებში.

3. ნაყოფის მიტანა დამზადების პუნქტში აწარმოოს თავისი საშუალებით, სტანდარტული მრავალსაბრუნავი ყუთებით და არ დაუშვას ცალკეული პომოლოგიური ჯიშების ერთმანეთში არევა.

II. დამამზადებელი ვალდებულია

4. უზრუნველყოს ჩამბარებელი სტანდარტული მრავალსაბრუნავი ყუთებით და აწარმოოს ნაყოფის შეუფერხებლივ მიღება (მიტანის დღეს) დაწესებულ შესყიდვის ფასებში.

5. ამ ხელშეკრულების I პუნქტში აღნიშნული სტანდარტული მანდარინის ჩაბარებისათვის გადაუხადოს ჩამბარებელს ჩაბარებული მანდარინის რაოდენობის 70 პროცენტში სახელმწიფო შესყიდვის ფასი, ხოლო მანდარინის დანარჩენ 30 პროცენტში — კილოგრამი ——————— მან. ——————— კაპ.

6. გაუსწოროს ჩამბარებელს ანგარიში ნაღდ ფულად ნაყოფის ჩაბარების დღეს, ან არა უგვიანეს ხუთი დღისა ნაყოფის ჩაბარების დღიდან.

III. მხარეთა პასუხისმგებლობა

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში პროდუქციის ჩაუბარებლობისათვის ჩამბარებელი უხდის დამამზადებელს საურავს 0,1 პროცენტის ოდენობით თვითეული ვადაგადაცილებული დღისათვის, ხოლო ათ დღეზე მეტის გადაცილებისას, საურავის გარდა, პირგასამტეხლოს — ორ პროცენტს ჩაუბარებელი პროდუქციის ღირებულების თანხიდან.

ჩამბარებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება უკეთუ ვალდებულებანი ვერ შესრულდა სტიქიური უბედურების შედეგად.

8. იმ შემთხვევაში, თუ ჩამბარებელი არ დაუბრუნებს დამამზადებელს საბრუნავ ყუთებს, იგი ვალდებულია გადაუხადოს დამამზადებელს დაუბრუნებელი ყუთების ორმაგი ღირებულება.

9. იმ პროდუქციის მიღებაზე უარის თქმისათვის, რომელიც ჩამბარებელმა წარადგინა ხელშეკრულების შესაბამისად და მხარეთა შორის შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, ან მისი მიღების ვადის გადაცილებისათვის დამამზადებელი გადაუხდის ჩამბარებელს საურავს მიუღებელი ან ვადაგადაცილებით მიღებული პროდუქციის ღირებულების სამი პროცენტის რაოდენობით და აუნაზღაურებს პროდუქციის მიტანის ხარჯებს (იქით და აქეთ), აგრეთვე ჩამბარებლის მიერ გაწეულ ზარალს (პროდუქციის ხარისხის გაუარესება, სატრანსპორტო საშუალებათა მოცდენა მიღების მოლოდინში და ა. შ.).

10. მიღებული პროდუქციის ღირებულების დროზე გაუცემლობისათვის დამამზადებელი გადაუხდის ჩამბარებელს ვადის გადაცილების ყოველ დღეში საურავს მიღებული პროდუქციის ღირებულების 0,1 პროცენტის რაოდენობით.

11. თუ ჩამბარებელი არ იქნა უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყუთებით, დამამზადებელი გადაუხდის ჩამბარებელს ჯარიმას მიუწოდებელი ყუთების რაოდენობის ღირებულების 50 პროცენტის რაოდენობით.

12. საურავის, პირგასამტეხლოს და ჯარიმის გადახდის გარდა, დამნაშავე მხარე აუნაზღაურებს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებულ ზარალს.

13. იმ საკითხებზე, რომლებიც ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები ხელმძღვანელობენ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით.

14. ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი დავა გადაწყდება დადგენილი წესით.

15. ხელშეკრულება შედგენილია სამ ცალად: ერთი ცალი ინახება ჩამბარებელთან, მეორე ცალი — დამამზადებელთან, ხოლო მესამე ცალი — სასოფლო საბჭოში.

ხელმოწერა:

ჩამბარებელი ———————————— დამამზადებელი ————————————

112 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 აგვისტოს № 410 დადგენილების მე-2 პუნქტის ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თხოვნა და „საქართველოს სსრ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 1 აგვისტოს № 410 დადგენილების მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაცვლელად დატოვებულ იქნეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ამჟამად არსებული სტრუქტურა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 23 ოქტომბერი, № 611

113 საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1969 წლის 23 ოქტომბერი, № 612.

№ 5
ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1969 წლის 23 ოქტომბრის № 612
დადგენილებით

ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, არის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო და თავის საქმიანობაში ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ახორციელებს ხელმძღვანელობას ხე-ტყის დამამზადებელი მრეწველობისა და ხერხილი მასალების, ავეჯის, ფანერის, მერქნის ფილების, დეტალებისა და მერქნისაგან დამზადებულ სხვა ნაკეთობათა წარმოების მრეწველობისადმი.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო პასუხისმგებელია ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის და წარმოების ტექნიკური დონის მდგომარეობისა და შემდგომი განვითარებისათვის რესპუბლიკაში, აგრეთვე პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხისათვის და იმისათვის, რომ უფრო სრულად დაკმაყოფილდეს სახალხო მეურნეობის და მოსახლეობის მოთხოვნილება პროდუქციაზე, რომელსაც სამინისტროს საწარმოები უშვებენ.

2. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა:

ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის, როგორც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილის, ყოველმხრივ განვითარება, წარმოების განვითარების და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება უფრო სრულად დაკმაყოფილდეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის, მოსახლეობისა და თავდაცვის მოთხოვნილება ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის ყველა სახეობის პროდუქციაზე;

სახელმწიფო გეგმის დავალებათა შესრულება და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა;

ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის წარმოების სტრუქტურის არსებითად გაუმჯობესება მერქნის ნედლეულის კომპლექსური გამოყენებისა და მერქნის მექანიკური დამუშავების განვითარების. აგრეთვე ხე-ტყის ნედლეულის რეზერვების უფრო სრულად და რაციონალურად გამოყენების ბაზაზე;

მეცნიერების, ტექნიკისა და შოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების დანერგვა, წარმოების მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების უზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუნველყოფა, ახალ ეკონომიურ და ეფექტიან ნაკეთობათა წარმოების ყოველ-მხრივ განვითარება;

— კაპიტალურ დაბანდებათა რაციონალურად გამოყენება და მათი ეფექ-ტიანობის ამაღლება, მშენებლობის ღირებულებისა და მისი ვადების შემცირე-ბა, საწარმოო სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემა საექს-პლოატაციოდ, აგრეთვე საწარმოო სიმძლავრეთა ათვისება მოკლე ვადებში;

— შრომისა და წარმოების მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვა, წარმოებაში შრომის უსაშიშრო პირობების შექმნა, სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების უზრუნველყოფა კვალიფიციური კად-რებით, პირობების შექმნა მუშაკთა ცოდნისა და გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენებისათვის, იმ ახალგაზრდა სპეციალისტთა დაწინაურება ხელმძ-ღვანელ სამუშაოზე, რომლებმაც კარგად გამოიჩინეს თავი მუშაობაში;

— სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირო-ბების გაუმჯობესება.

3. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სა-მინისტრო განაგებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს უშუალოდ ან იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებსაც იგი შექმნის დადგენილი წესით; გადაწყვეტს დარგის ყველა საკითხს მისთვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში და შეუძლია მიანდოს მის კომპეტენცი-აში შემავალი ცალკეული საკითხების გადაწყვეტა მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამი-ნისტრო თავის საქმიანობაში ახორციელებს კონტაქტებს საქართველოს სსრ სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან და ამყარებს მათთან საქმიან თანამ-შრომლობას დარგთშორისი საკითხების შემუშავებისა და გადაწყვეტის დროს.

4. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო წარმოადგენს რა წამყვან უწყებას ტყეების ექსპლოატაციისა და ხის დამუშავების დარგში, მონაწილეობას იღებს იმ საწარმოებისა და ორგანი-ზაციების მიერ ამ სახის წარმოების დაგეგმვაში, რომლებიც მას არ ექვემდება-რებიან, და საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფისა და ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ხარისხის გა-უმჯობესებისათვის.

სამინისტრო ტყის სხვა ფონდმქონეებთან ერთად მონაწილეობას იღებს საანგარიშსწორებო ტყესაკაფის დაწესებასა და ტყის მთავარი სარგებლობის ოდენობის განსაზღვრაში.

5. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამი-ნისტრო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართვე-ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითა და განკარგულებებით, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის საძინისტროს ინსტრუქციებითა და მითითებებით, სხვა საერთოსაკავშირო და რესპუბლიკური ნორმატიული აქტებით, აგრეთვე ამ დებულებით და უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის სწორად გამოყენებას მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო განაზოგადებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში კანონმდებლობისა და ნორმატიული აქტების გამოყენების პრაქტიკას, შეიმუშავებს წინადადებებს მათი გაუმჯობესებისათვის და დადგენილი წესით წარუდგენს ამ წინადადებებს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს.

6. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის დარგში:

— შეიმუშავებს წინადადებებს რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის ძირითად მიმართულებათა შესახებ;

— განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ტყესაკაფის ფონდის რაციონალურად გამოყენება, მერქნის ნედლეულის კომპლექსურად გამოყენება (დაბალი ხარისხის მერქნისა და ხე-ტყის დამზადების და ხის გადამუშავების ნარჩენების მაქსიმალურად გადამუშავება), საწარმოთა ხელახალი ტექნიკური შეიარაღება, წარმოების ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და მისი ასორტიმენტის გაფართოება;

— განსაზღვრავს, დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე, და სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს დაუგზავნის პერსპექტიული და წლიური გეგმების საკონტროლო ციფრებს;

— შეიმუშავებს იმ საკონტროლო ციფრებისა და გეგმების პროექტების საფუძველზე, რომლებსაც მათ წარუდგენენ სამინისტროს სისტემაში შემავალი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტიული და წლიური გეგმების პროექტებს და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს;

— დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მონაწილეობით განიხილავს და დაუმტკიცებს მათს პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს დაწესებული მაჩვენებლების მიხედვით სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა შესაბამისად, უზრუნველყოფს ამ გეგმების ყველა განაყოფისა და მაჩვენებლის შეთანხმებას;

— შეიმუშავებს და განახორციელებს იმ პროდუქციის რეალიზაციის ღონისძიებებს, რომელსაც სამინისტროს საწარმოები ამზადებენ;

— საწარმოებისა და დაინტერესებული ორგანოების წინადადებათა გათვალისწინებით განსაზღვრავს იმ ნომენკლატურის პროდუქციის წარმოების მოცულობას, რომელიც არ არის გათვალისწინებული სახალხო-სამეურნეო გეგმით.

— მიიღებს ზომებს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა რაციონალური სამეურნეო კავშირურთიერთობის განვითარებისათვის;

— უზრუნველყოფს დაწესებული გეგმების შესრულებას სამინისტროს ყველა საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს ტექნიკურ-ეკონომიურ ნორმატივებს, საწარმოო და საექსპლოატაციო საჭიროებისათვის ნედლეულის, სათბობის, მასალების, ელექტროენერგიის ხარჯვისა და მარაგის ნორმებს, უზრუნველყოფს დამტკიცებული ნორმატივებისა და ნორმების დანერგვას;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს, ან დასამტკიცებლად წარადგენს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა პროდუქციისა და მომსახურების ფასებსა და ტარიფებს; კონტროლს გაუწევს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ფასებისა და ტარიფების სწორად გამოყენებას;

— მოაწყობს პირველადს აღრიცხვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მიიღებს და წარადგენს დადგენილი წესით სტატისტიკურ და საბუღალტრო ანგარიშგებას, განახორციელებს ღონისძიებებს აღრიცხვის პროგრესული მეთოდებისა და ფორმების დანერგვისათვის;

ბ) მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში:

— აწარმოებს სტატისტიკურ მუშაობას წარმოების მიღწეული ტექნიკურ-ეკონომიური დონისა და ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის შეფასებისათვის, განსაზღვრავს სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევების უფრო ეფექტიანად გამოყენების გზას და უზრუნველყოფს ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის განვითარების მაღალ ტექნიკურ დონეს ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე;

— ხელმძღვანელობას გაუწევს დაქვემდებარებული სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების საქმიანობას, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ამ ორგანიზაციათა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უზრუნველყოფს მათ საჭირო საწარმოო-ექსპერიმენტული ბაზით;

— შეიმუშავებს და წარმოებაში დანერგავს დიდად ეფექტიან ტექნოლოგიურ პროცესებს და წარმოების ორგანიზაციის მეთოდებს, აგრეთვე ახალი სახის ნედლეულსა და მასალებს;

— შესაბამის ორგანოებთან შეთანხმებით გადაწყვეტს მოძველებული სახის პროდუქციის წარმოებიდან მოხსნის საკითხებს;

— უზრუნველყოფს სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დანერგვასა და დაცვას, შეიმუშავებს და დადგენილი წესით დაამტკიცებს ტექნიკურ პირობებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხელმძღვანელობას გაუწევს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას, უზრუნველყოფს გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად აწარმოებს მუშაობას გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოსთან და ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებასთან ერთად;

გ) კაპიტალური მშენებლობის დარგში:

— უზრუნველყოფს კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანად გამოყენებას, ახალი მშენებლობის რაციონალურად განლაგებას, კაპიტალურ დაბანდებათა პირველ რიგში წარმართვას მოქმედი საწარმოების ხელახალი ტექნიკური შეიარაღებისათვის, კაპიტალურ დაბანდებათა კონცენტრაციას ასამუშავებელ ობიექტებზე და დაუმთავრებელი მშენებლობის შემცირებას.

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს დადგენილი წესით მშენებლობებისა და მომავალი წლების მშენებლობის საპროექტო სამუშაოთა სატიტულო სიებს, კონტროლს გაუწევს საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხს და მშენებლობის დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების დაცვას, აგრეთვე ტექნიკურ ზედამხედველობას გაუწევს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა და მისაწოდებელი მოწყობილობის ხარისხს;

— კონტროლს გაუწევს იმას, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გაანაწილონ კაპიტალური მშენებლობისათვის საჭირო მოწყობილობის შეკვეთები, ამ მიზნისათვის გამოყოფილ ასიგნებათა შესაბამისად;

— უზრუნველყოფს სიმძლავრეთა და ძირითადი ფონდების დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ, საწარმოო სიმძლავრეთა ათვისებას დაწესებულ ვადებში და კონტროლს გაუწევს იმ მშენებლობის მიმდინარეობას, რომელსაც მოიჯარე ორგანიზაციები აწარმოებენ;

— თავისი კომპეტენციის ფარგლებში დანიშნავს სახელმწიფო კომისიებს იმ საწარმოთა, შენობათა და ნაგებობათა საექსპლოატაციოდ მისაღებად, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია, დაამტკიცებს მიღების აქტებს;

— მოაწყობს ძირითადი ფონდების კაპიტალურ რემონტს, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური და საექსპლოატაციო მდგომარეობის გაუმჯობესებას; განახორციელებს ღონისძიებებს რემონტის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი გაიაფებისათვის;

დ) მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში:

— განსაზღვრავს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მოთხოვნილებას ტყესაკაფის ფონდზე, მოწყობილობასა, ნედლეულსა, სათბობსა და სხვა მატერიალურ რესურსებზე და დადგენილი წესით წარუდგენს მას შესაბამის მგეგმავ ორგანოებს; განაგებს სამინისტროსათვის გამოყოფილ მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისათვის;

— საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის გაანაწილებს სამინისტროსათვის გამოყოფილი ნედლეულის, სათბობის, მოწყობილობის ფონდებს და სხვა მატერიალურ რესურსებს, აგრეთვე საჭიროების შემთხვევებში გადაანაწილებს აღნიშნულ ფონდებს საწარმოო პროგრამის და კაპიტალური მშენებლობის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების გათვალისწინებით;

— შეიმუშავებს და დაამტკიცებს პროდუქციის შინასასისტემო და კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმებს იმის გათვალისწინებით, რომ შესრულდეს გარესასისტემო მიწოდებანი მოცემული მოცულობით;

— კონტროლს გაუწევს ნედლეულის, მასალების, სათბობის, მოწყობილობის ფონდების და სხვა მატერიალური რესურსების რეალიზაციას, აგრეთვე სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ პროდუქციისა და საქონლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების დროულად დადებას და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას;

— განახორციელებს იმისადმი კონტროლს, რომ სამინისტროს საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სწორად შეინახონ და გამოიყენონ ნედლეული, სათბობი, მოწყობილობა და სხვა მატერიალური რესურსები და ფასეულობანი, მიიღებს ზომებს ზედმეტი და გამოუყენებელი მატერიალური რესურსების რეალიზაციისათვის;

— შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს ნედლეულის, მასალების, სათბობის მომჭირნეობით ხარჯვისათვის, წარმოებაში დანაკარგების შემცირებისათვის, საწარმოო ნარჩენების გამოყენებისათვის და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია მატერიალური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისაკენ.

ე) ფინანსებისა და კრედიტის დარგში:

— განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სამეურნეო ანგარიშის განმტკიცება, სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების რენტაბელობის ამაღლება და დაგროვების გადიდება, ძირითადი ფონდების, საბრუნავი სახსრებისა და ბანკის კრედიტების ეფექტიანად გამოყენება;

— დადგენილი წესით დააფინანსებს ქვესაუწყებო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, ხელმძღვანელობას გაუწევს მათს საფინანსო საქმიანობას, განახორციელებს კონტროლს საფინანსო რესურსების გამოყენებისადმი;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ საფინანსო გეგმების შესრულებას, საკუთარი საბრუნავი სახსრების დაცვა-შენახვას, ანგარიშის დროზე გასწორებას მუშებთან და მოსამსახურეებთან, ბიუჯეტთან, მიმწოდებლებთან, მოიჯარეებთან, ბანკებთან, აგრეთვე იმას, რომ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა გადარიცხონ საკუთარი სახსრები, რომლებიც განკუთვნილია კაპიტალური რემონტის, კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად და საფინანსო გეგმით გათვალისწინებული სხვა მიზნებისათვის;

— დადგენილი წესით შექმნის ახალი ტექნიკის ათვისების ფონდს, ახალი ტექნიკის შექმნისა და დანერგვისათვის დაჯილდოების ფონდს და სხვა ცენტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალიზებულ ფონდებს, აგრეთვე სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის ფინანსური დახმარების გასაწევ რეზერვს;

— ამოიღებს ზედმეტ საბრუნავ სახსრებს, სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების წლიური ანგარიშების შედეგების მიხედვით მათი გადანაწილების წესით;

—გახსნის ბანკებში საანგარიშსწორებო ანგარიშებს დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების, მოგების, ახალი ტექნიკის ფონდის შესაქმნელი თანხებისა და სხვა სახსრების გადასანაწილებლად, აგრეთვე გახსნის ცალკეულ ანგარიშებს საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის საფინანსო დახმარების გასაწევი რეზერვის სახსრების და კაპიტალური რემონტის ანარიცხთა რეზერვის სახსრების შესანახად;

— დაამტკიცებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს და დადგენილი წესით წარადგენს კრებსითს ბალანსებსა და ანგარიშებს სამინისტროს საქმიანობის სახეობათა მიხედვით;

— მოაწყობს საკონტროლო-სარევიზიო მუშაობას, უზრუნველყოფს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რევიზიების რეგულარულად წარმოებას, მეურნეობის მდგომარეობისა და მისი ეკონომიკის ყოველმხრივ ანალიზს სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში; კონტროლს გაუწევს აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოებას და სინამდვილეს:

ვ) კადრების, შრომისა და ხელფასის დარგში:

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მუშაკთა კვალიფიციური კადრებით, მოაწყობს კადრების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, შეისწავლის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების კადრებს და შექმნის რეზერვს ახალგაზრდა, ნიჭიერ მუშაკთა დასაწინაურებლად ხელმძღვანელ სამუშაოზე; კონტროლს გაუწევს ახალგაზრდა სპეციალისტთა სწორად გამოყენებას და განახორციელებს ღონისძიებებს მუდმივი კადრების შესაქმნელად სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

— ხელმძღვანელობას გაუწევს შრომისა და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვას სამინისტროს საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის პირობების შემდგომ გაუმჯობესებასა და გაჯანსაღებას, უსაფრთხოების ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის წესების მტკიცედ დაცვას;

— შეიმუშავებს და დადგენილი წესით შემოიღებს საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამომუშავების (მომსახურების ერთიან და ტიპობრივ ნორმებს და მუშაკთა რაოდენობის ნორმატივებს; მოაწყობს პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებში გამომუშავების (მომსახურების) ნორმების გადასინჯვას და განახორციელებს სხვა ღონისძიებებს შრომის ნორმირებისათვის;

— უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისა და დაჯილდოების მოქმედი პირობების სწორად გამოყენებას, აგრეთვე სწორ თანაფარდობას შრომის ნა-

ყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის; კონტროლს გაუწევს ხელფასის ფონდის და წახალისების ფონდების ხარჯვას;

— დააწესებს და შეცვლის საძიხისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკთა თანამდებობრივ განაკვეთებს, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით, ხელფასის ფონდის ფარგლებში;

— მიიღებს ზომებს მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების დროზე განხილვისათვის, მიაღწევს ამ წერილებში აღძრული საკითხების სწორად გადაწყვეტას, აგრეთვე მიღებს ზომებს მშრომელთა წერილებში აღნიშნულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რაც სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობას ახასიათებს;

— დადგენილი წესით მოაწყობს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

7. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად:

— ხელმძღვანელობას გაუწევს კოლექტიური ხელშეკრულებების დადებას და განახორციელებს მათი შესრულებისადმი კონტროლს;

— უზრუნველყოფს სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას;

— მოაწყობს სოციალისტურ შეჯიბრებას, ხელს შეუწყობს მოძრაობის გაშლას კომუნისტური შრომისათვის, დაამტკიცებს რესპუბლიკური შეჯიბრების პირობებს; შეაჯამებს სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და გარდამავალ წითელ დროშებს და ფულად პრემიებს მიანიჭებს გამარჯვებულ კოლექტივებს, მიაკუთვნებს კომუნისტური შრომის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების წოდებას, მოაწყობს მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას და გავრცელებას;

— საწარმოთა და ორგანიზაციათა მოწინავე მუშაკებს დააჯილდოებს სამკერდე ნიშნებით, საპატიო სიგელებით და გამოიყენებს სხვა სახის წახალისებას.

8. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო უზრუნველყოფს სოციალისტური საკუთრების დაცვას და სახანძრო უსაფრთხოების წესების შესრულებას საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში და მიიღებს ზომებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

9. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელსაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად, ნიშნავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, ხოლო სესიებს შორის პერიოდში — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რაც შემდგომ შეიტანება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრს ჰყავს მოადგილეები, რომლებსაც ნიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მოადგილეებს შორის მოვალეობას გაანაწილებს მინისტრი.

10. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა იმ ამოცანებისა და მოვალეობათა შესრულებისათვის, რომლებიც დაკისრებული აქვს სამინისტროს, მინისტრი დააწესებს მისი მოადგილეებისა და სამინისტროს განყოფილებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობას სამინისტროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობისათვის.

11. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი:

— ხელმძღვანელობს სამინისტროს, აგრეთვე მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობას;

— დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებს და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაკებს დაწესებული ნომენკლატურის შესაბამისად;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარუდგენს ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის საკითხებზე კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებათა პროექტებს;

— გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, აგრეთვე სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებისა და განკარგულების საფუძველზე და შესასრულებლად, ბრძანებებს, განკარგულებებსა და ინსტრუქციებს და გასცემს სამინისტროს საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის შესასასრულებლად სავალდებულო მითითებებს და შეამოწმებს მათ შესრულებას;

— გამოსცემს საჭირო შემთხვევებში საქართველოს სსრ სხვა სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად ბრძანებებს, განკარგულებებსა და ინსტრუქციებს;

— გააუქმებს ქვესაუწყებო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ გამოცემულ ბრძანებებს, განკარგულებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

— დაამტკიცებს დებულებებს სამინისტროს, სტრუქტურული ქვეგანაყოფების (განყოფილებების) შესახებ;

— შექმნის, მოაწყობს და გააუქმებს დადგენილი წესით სამინისტროს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, აგრეთვე დაამტკიცებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წესდებებს;

— დადგენილი წესით გადაწყვეტს თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შენობების, ნაგებობების, ქონებისა და ფასეულობათა მიღებასა და გადაცემას ბალანსიდან ბალანსზე ან ღირებულების ანაზღაურებით;

— დადგენილი წესით მოიწვევს თათბირებს, რომლებზედაც განიხილავს მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებებზე, დარგის განვითარებისა და სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

12. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (თავმჯდომარე) და მინისტრის მოადგილეები თანამდებობის მიხედვით, აგრეთვე სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის განვითარების საკითხებს და სამინისტროს საქმიანობის სხვა საკითხებს, საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისადმი პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და გამოყენების საკითხებს, უმნიშვნელოვანესი ბრძანებების, განკარგულებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, მოისმენს სამინისტროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით. მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს თავის მხრივ, შეუძლიათ თავიანთი აზრი აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

13. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ძირითად მიმართულებებზე წინადადებათა განსახილველად, ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელ მრეწველობაში მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის დასადგენად, სამამულო და უცხოეთის მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების გამოყენებისა და დანერგვისათვის რეკომენდაციების შესამუშავებლად, საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში შეიქმნება სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო, რომელშიაც შევლენ გამოჩენილი მეცნიერები, მაღალკვალიფიციური სპე-

ციალისტები, წარმოების ნოვატორები, აგრეთვე სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას და მის შესახებ დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი.

14. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში მოეწყობა სამხატვრო-ტექნიკური საბჭო, რომელიც დაამტკიცებს მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის პროექტებსა და ნიმუშებს.

სამხატვრო-ტექნიკური საბჭოს შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამხატვრო-ტექნიკური საბჭო თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციით მოსახლეობისათვის მისაყიდი ავეჯის პროექტებისა და ნიმუშების დამტკიცების შესახებ.

15. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო სამინისტროს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავის განსახილველად ჰქმნის არბიტრაჟს. ამ არბიტრაჟს უფლება ენიჭება გამოსცეს ბრძანებები, რომლებიც ავალდებულებენ მხარეებს იძულებითი წესით შეასრულონ მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი.

არბიტრაჟის დებულებას დაამტკიცებს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მინისტრი.

16. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და მუშაკთა რაოდენობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს განყოფილებები შეიძლება გადაყვანილ იქნან მინისტრის მიერ სამეურნეო ანგარიშზე.

17. საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია სახელმწიფო გერბი და თავისი სახელწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი — 76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1969 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია

ქაღალდის ფორმატი 70 × 108 1/16.
ნაბეჭდი თაბახი 5,5 სააღრიცხვო-თაბახი 4,5

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

ტირაჟი 2450 შეკვეთა № 1178

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.